

სარჩევი

სარჩევი.....	3
პროექტის მიზანი	4
1. ძეგლის ისტორიულ-მხატვრული ღირებულება.....	4
2. პროექტის წინაპირობა.....	5
3. პროექტის ამოცანები და განხორციელების გზები.....	5
4. პრობლემის აღწერა	6
5. განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები.....	8
6. შესასრულებელი სამუშაოების მეთოდოლოგია.....	18
6. სამუშაოთა გრაფიკი 2018 წლის 20 მარტი – 2018 წ. 20 დეკემბერი	24
დანართი 1. გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკდერების გადახურვის, საღრენაჟო სისიტემის რეაბილიტაციის, კარნიზების და ცოკოლის ქვების კონსერვაციის ნახაზები და სქემები.....	31
დანართი № 3 გელათის კომპლექსის ნაგებობათა სახურავის ელემენტები არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით	52
დანართი №1 ცელასთან სამონასტრო კოპლექსის მთავარი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ტექნიკური მდგრადების შესახებ.....	68

პროექტის მიზანი

წინამდებარე პროექტის მიზანია გელათის ღვთიმშობლის ტაძრის სრული რეაბილიტაციის შემდეგი ქმედებების განხორციელება, კერძოდ:

- ტაძრის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია.
- ტაძრის ეკვდერების კარნიზების რეაბილიტაცია.
- ტაძრის ეკვდერების გადახურვის რეაბილიტაცია და მოჭიქული კრამიტით და ისტორიული ლორფინით გადახურვა.
- აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ცოკოლის რეაბილიტაცია.

1. მეგლის ისტორიულ-მხატვრული ღირებულება

გელათის მონასტერს თავისი უაღრესად დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულებებით გამორჩეული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის. ათი საუკუნის განმავლობაში იგი არ კარგავს არც ისტორიულ და არც მხატვრულ ღირებულებას. გელათის მონასტერი დავით აღმაშენებელმა დაარსა 1106 წელს.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრია. მისი მშენებლობა დავით აღმაშენებლის დროს, XII საუკუნის დასაწყისში დაიწყო. იგი გალავნით შემოსაზღვრული ეზოს შუაგულში მდებარეობს. ნაგებობა შინაარსობრივად და კომპოზიციურად არქიტექტურული კომპლექსის დომინანტია. ესაა ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდით; დასავლეთი მკლავის გარშემო პატრონიკეა მოწყობილი. თავდაპირველი გეგმით ტაძარს სამხრეთი თაღოვანი გალერეა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მის ნაცვლად XII საუკუნეშივე, დემეტრე I-ის დროს, დასავლეთით ნართექსი, სამხრეთით მინაშენი მიუმატეს. ტაძრის ჩრდილოეთი მინაშენი XIII საუკუნის განმავლობაში ეტაპობრივად იგებოდა.^{*} მისი დეტალური აღწერა და ანალიზი იხ. პროექტზე თანდართულ სახელოვნებათმცოდნეო ანალიზში. *

* იხ. მონასტრის გენგეგმა, ტაძრის გეგმა და ჭრილები. დანართი #1

* იხ. სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი დანართი #2

2. პროექტის ფინანსობა

2008-2010 წლებში გელათის მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფინანსებული სამუშაოები. 2008 წელს „ააიპ საქართველოს მემკვიდრეობის“ პროექტის ფარგლებში შემუშავდა გელათის მონასტრის განვითარების გეგმა, რომელიც განახლდა 2015 წელს. არქეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით აღდგა ისტორიული მოჭიქული კრამიტი.

წინამდებარე პროექტი ეყრდნობა წინა ეტაპებზე განხორციელებულ კვლევებს და სამუშაოებს, რომლებიც ითვალისწინებდა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაციას 2008 წელს შემუშავებული პროექტის მიხედვით და 2015 წელს „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ განახლებული განვითარების გეგმის მიხედვით. რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა გუმბათის კონსტრუქციული გამაგრება, გუმბათის, ტრომპების, სამხრეთ, ჩრდილოეთ, დასავლეთ მკლავების, აფსიდის, და სადიაკვნოების კარნიზების რეაბილიტაცია, და არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით მოჭიქული კრამიტით გადახურვა, სარკმელების რეაბილიტაცია. ტაძრის სრული პერიმეტრის საპირე ქვის კონსერვაცია. (იხილეთ პროექტი # GACC/GELATI/ 01/2013)

3. პროექტის ამოცანები და განხორციელების გზები

წინამდებარე პროექტში განსაზღვრულია სამუშაოთა მიმართულებები, რომლებიც ავსებს მანამდე განხორციელებულ სამუშაოებს და უზრუნველყოფს გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სტრუქტურის სრულ რეაბილიტაციას, რისთვისაც განსაზღვრულია სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ტაძრის სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია
- ტაძრის ეკვდერების კარნიზების რეაბილიტაცია.
- ეკვდერების მოჭიქული კრამიტით გადახურვა
- გამოვლენილი ისტორიული ლორფინის აღდგენა
- აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ ცოკოლის რეაბილიტაცია

ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიება ჩატარდება 2015 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს და „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ განახლებული განვითარების გეგმის და პროექტის მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტების, საერთაშორისო ექსპერტების და დონორი ორგანიზაციების ზედამხედველობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა კანონის გათვალისწინებით.

4. პროგლემის აღჭრა

1. ტაძრის სადრენაჟე სისტემის გაუმართაობა:

ამჟამად არსებული მდგომარეობით ტაძრის სახურავიდან ჩამონადენი ნალექი ასველებს პოსტამენტს და საფრთხეს უქმნის საძირკველს, მოსაწყობია ახალი მიწისქევშა გაყვანილობის სისტემა რომელიც ჩაახშობს ატმოსფერული ნალექების არსებულ ჭავლს და უზრუნველყოფს მის სწორ გადინებას მონასტრის ტერიტორიიდან.

2. ტაძრის ეკვდერების კარნიზების ქვის დაზიანებები:

ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევით დადგინდა, რომ კარნიზის ქვებში შეინიშნება შემდეგი დაზიანებები: ქვები დაშორებულია კედლის გულს და ზოგ შემთხვევაში დაკარგული აქვთ ერთმანეთთან კავშირი; ქვებზე წარმოქმნილია ბზარები; ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა ქვების მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვა; თავდაპირველ სამშენებლო მასალაზე აღინიშნება სხვადასხვა ტიპის განცალკევება (აქერცვლა, განშრევება..), რამაც უმეტეს შემთხვევავში გამოიწვია ზედაპირის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა - ეროზია.

ზემოთ ჩამოთვლილი დაზიანებების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია:

შესაკეთებელი სამუშაოების განუხორციელებლობა; გარემო ბუნებრივი აგენტების ზემოქმედება (ქარი, წვიმა, ტემპერატურული ცვალებადობა...); მიწისძვრების ზემოქმედება; სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მტერთა შემოსევით მიყენებული დაზიანებები (ნგრევა, გადაწვა, ვანდალიზმი...)

3. ეკვდრების გადახურვის დაზიანებები

ეკვდერების არსებული გადახურვა, რომელიც 20 სკ-ის 50-იანი წლების რესტავრაციის დროს მოწყობილი იყო, თუნუქითაა გადაწყვეტილი, ხოლო ტაძრის ჩრდილო დასავლეთ ფასადის მონაკვეთზე შემორჩენილია ლორფინები. ფურცლოვანი თუნუქი ხის ნივნივებიან გადახურვაზეა მოწყობილი. გადახურვა ამორტიზირებულია და სრულფასოვნად ვერ იცავს ინტერიერს ატმოსფერული ნალექებისაგან, გარდა ამისა თუნუქის ვიბრირება, განსაკუთრებით ქარიან ამინდში, რაც საკმაოდ ხშირია გელათის ტერიტორიაზე, იწვევს მის გამუდმებულ კონტაქტს კარნიზის ქვებთან და მნიშვნელოვნად აზიანებს მათ, რაც ნათლად აისახება კარზიების არსებულ მძიმე მდგომარეობაში - კარნიზის კვადრების უმეტესობა ძლიერადაა დაზიანებული და ფაქტიურად ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას გარდა ამისა, სახურავის გუმბათიდან ძლიერი გადმოშვერა, სრულებით არ შეესაბამება ეკლესიის პროპორციებს და არღვევს მის მხატვრულ იერსახეს.

4. ტაძრის ცოკოლის ქვის სტრუქტურის დაზიანებები

ცოკოლის ქვების დაზიანებებიკარნიზის ქვის დაზიანებების ანალოგიურია.

5. განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები

- 1) სამუშაოთა ლოკაციის შესაბამისად ხარაჩოების გამართვა
- 2) მიწისქვეშ არსებული ისტორიული სანიაღვრე სისტემის ხელით გათხრა, გასუფთავება, აღდგენა
- 3) ეკვდერებზე არსებული გადახურვის მოხსნა და გასუფთავება.
- 4) კრამიტის ბურულის მოწყობა
- 5) ბაზალტის ქვის ლორფინით სახურავის რეაბილიტაცია
- 6) ეკვდერების კარნიზის ქვის კონსტრუქციული გამაგრება, რეაბილიტაცია, აღდგენა
- 7) ცოკოლის საპირე ქვების რეაბილიტაცია

სამუშაოების ძირითადი მოცულობები:

1. მოსამზადებელი სამუშაოები

1,1	Installation and dismantling of the Scaffolding / ხარაჩოს აგება, დაშლა	m2	1331,2
1,2	Fixation of polypropylene curtain / პოლიპროპილენის ფერადი ფარდის მოწყობა ხარაჩოს გარე პირეულზე	m2	1397,8
1,3	Arrangement of fence around building/ მსუბუქი კონსტრუქციით ტაძრის გარშემო მოედნის შემოღობვა (height 1m)	m	220,0
1,4	Arrangement of fence along drainage system/ მსუბუქი კონსტრუქციით სანიაღვრე არხის შემოღობვა (height 1 m)	m	630,0
1,50	Transportation of wase materials / ნაგვის დატვირთვა და გატანა	t	75,5

2. სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია*

1	Digging the drainage collector under supervision of archaeologist / მიწისქვეშა ისტორიული (დახურული) სანიაღვრე კოლექტორის გათხრა ხელით, არქეოლოგის ზედამხედველობით	მ3	172,7
2	Digging of supposed drainage channel under supervision of archaeologist / სავარაუდო სანიაღვრე არხის გათხრა ხელით არქეოლოგის ზედამხედველობით	მ3	171,6
3	Rebuild of the collector walls built with rubble limestone with 50% of new materials / არსებული სანიაღვრე კოლექტორის, ფლეთილი კირქვით ნაშენები კედლების გადაწყობა 50% ახალი მასალის დამატებით	მ2	973,4
4	Arrangement of fine and coarse pebble bedding in the channel and ramming / არხის ძირის წვრილფრაქციული და მსხვილფრაქციული ღორღის ფენილის მოწყობა და დატკეპნა	მ3	103,62
5	Refilling of channel with ground / მიწის უკან ჩაყრა	მ3	103,6
6	Covering of the channel by 10 cm thick grassy clods / არხის ზედაპირის დაფარვა 10სმ სისქის ცოცხალი ბალახოვანი ბელტებით	მ2	344,3
7	Transportation of remaining grounds out of site / ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ა/მანქანებზე და ტრანსპორტირება	მ3	210,4

* მოცემული მოცულობები საგარაუდოა, ვინაიდან შეუძლებელია სანიაღვრე სისტემის მდგომარეობის რეალური შეფასება სამუშაოების დაწყებამდე. მოცულობების დადგენა/დაზუსტება განხორციელდება არხის გატერის შემდგომ და არსებული მდგომარეობის შეფასების შემდგომ.

3. კარნიზების რეაბილიტაცია

	დასავლეთი ფასადი		
3,1	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	მ2	55

3,2	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	4
3,3	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	8
3,4	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	20
3,5	Anchoring of stones / ქვების დაანკურება	unit	37
3,6	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	10
3,7	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	2,2
3,8	Installation of new stones / ახალი ქვის ფილების დამატება** (L 27mx D 0,35m x H 0,07m)	m3	0,66
3,9	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია	m	5
3,10	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	24
3,11	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	55
3,12	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტებული ადგილების გაერთანება	m2	3
3,13	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	1,2
3,14	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დამრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	6
	სამხრეთი		
3,15	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	m2	60
3,16	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	0
3,17	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	2
3,18	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	14
3,19	Anchoring of stones / ქვების დაანკურება	unit	130

3,20	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	31,4
3,21	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	3
3,22	Installation of new stones / ახალი ქვის ფილების დამატება** (L 67mx D 0,35m x H 0,07m)	m3	1,64
3,23	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია	m	22
3,24	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	30
3,25	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	60
3,26	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება	m2	3,7
3,27	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	9
3,28	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დაძრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	2
	ჩრდილოეთი		
3,29	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	m2	65
3,30	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	3
3,31	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	7
3,32	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	10
3,33	Anchoring of stones / ქვების დაანკერება	unit	57
3,34	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	18,3
3,35	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	12
3,36	Installation of new stones / ახალი ქვის ფილების დამატება** (L 52,5mx D 0,35m x H 0,07m)	m3	1,29

3,37	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია	m	15
3,38	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	31
3,39	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	65
3,40	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება	m2	3,6
3,41	Notching of places of direct contact / მიზჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	4,5
3,42	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დამრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	5

* სამუშაო არ არის მოცემული სქემებზე ვინაიდან შეუძლებელია ამ
სამუშაოს საჭიროების ადგილების წინასწარ გასაზღვრა. რაოდენობის
შეფასება მოხდე ძეგლზე უკვე განხორციელებული სამუშაოების
გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამუშაოს ზუსტი მოცულობა
დადგინდება სამუშაოების წარმოების პროცესში

**სამუშაო არ არის მითითებული სქემაზე. იგი მოიცავს კარნიზის სრულ
პერიმეტრს.

4. სახურავის რეაბილიტაცია კრამიტის ბურულით

4,1	Dismantling of old tin roofing / ამორტიზირებული თუნუქის ბურულის მოხსნა, 8 მ სიმაღლიდან ჩამოტანა და ეზოში დასაწყობება	მ2	550,0
4,2	Dismantling of wooden under roofing structure / მოფიცვრის და ბურულქვეშა ხის ნაკეთობების დაშლა, ჩამოტანა და ეზოში დასაწყობება	მ3	22,0
4,3	Filling of under roofing cavities by pumice stone and lime /ბურულქვეშა სიცარიელის შევსება მსუბუქი შემავსებლით (პემზა კირის დუღაბით)	მ3	330,0
4,4	Arrangement of fiberglass armature D44 mm/ interval 10 cm /სახურავზე მინაბოჭკოვანი არმატურის ბადის მოწყობა	მ2	550,0

	დ=4მმ ბიჯი 10სმ		
4,5	Plastering of under roofing plates by polymer lime mortar 10cm/ სახურავის სიბრტყეების მოლესვა კირდუღაბით - სისქე 10სმ	მ2	550,0
4,6	Arrangement of hydroisolation layer/ მოჭიმვის დაფარვა საიზოლაციო ფენით	მ2	550,0
4,7	Covering isolation with 5 cm. limemortar layer / საიზოლაციო ფენაზე დამცავი 5სმ-იანი მოჭიმვის მოწყობა კირხსნარით	მ2	550,0
4,8	Installation of ceramic decoration tiles along the cornices / ლავგარდანის ქვებზე მოჭიქული, დეკორატიული არშიის მოწყობა	გრძ.მ	156,8
4,9	Arrangement of copper treadmill (12 sm) between ceramic tiles and cornise decoration / “ფარდასა” და კრამიტს შორის სპილენძის ფურცლის წყლის საწვეთურის მოწყობა ორკომპონენტიანი წებოთი და ლითონის სამაგრით (თუნუქი სიგანით 12 სმ)	გრძ.მ	74,0
4,10	Rehabilitation of roofing with ceramic tiles / სახურავის ბურულის მოწყობა მოჭიქული კრამიტით კირ. დუღაბზე, ყოველი ცალის უჯანგავი სამსჭვალით და ჰერმეტიკის შეღეთი ჩაანკერებით	მ2	550,0
4,11	Treatment of joint of the ceramic tiles and stone by hydroisolation / კრამიტის ბურულსა და ქვის კედელის შეერთების ადგილების დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალით	გრძ.მ	112,4

5. ბაზალტის ქვის ლორფინით სახურავის რეაბილიტაცია

5,1	Dismantling of old tin roofing /ამორტიზირებული თუნუქის ბურულის მოხსნა, 8 მ სიმაღლიდან ჩამოტანა და ეზოში დასაწყობება	მ2	64,0
5,2	Dismantling of wooden under roofing structure / მოფიცვრის და ბურულქვეშა ხის ნაკეთობების დაშლა, ჩამოტანა და ეზოში დასაწყობება	მ3	2,6

5,3	Remove of historical stone roofing fragments, selection of useful fragments / ბურულის თლილი ლორფინების მოხსნა, ჩამოტანა, ვარგისი მეორადი ქვების გადარჩევა და დასაწყობება	მ2	64,0
5,4	Remove of concrete foundation of stone roofing / ლორფინების ბეტონის ფუძის მონგრევა და ჩამოტანა	მ3	9,6
5,5	Filling of under roofing cavities by pumice stone and lime / ბურულქვეშა სიცარიელის შევსება მსუბუქი შემავსებლით (პემზა კირის დუღაბით)	მ3	38,4
5,6	Arrangement of fiberglass armature D44 mm/ interval 10 cm / სახურავზე მინაბოჭკოვანი არმატურის ბადის მოწყობა დ=4მმ ბიჯი 10სმ	მ2	64,0
5,7	Plastering of under roofing plates by polymer lime mortar 10cm/ სახურავის სიბრტყეების მოლესვა კირდუღაბით - სისქე 10სმ	მ2	64,0
5,8	Arrangement of hydroisolation layer/ მოჭიმვის დაფარვა საიზოლაციო ფენით	მ2	64,0
5,9	Covering isolation with 5 cm. limemortar layer / საიზოლაციო ფენაზე დამცავი 5სმ-იანი მოჭიმვის მოწყობა კირხსნარით	მ2	64,0
5,10	Treatment of old stones / მეორადი ლორფინის ქვების გადათლა	მ2	32,0
5,11	Production od 10 cm basalt stone slabs / 10 სმ სისქის მასიური ბაზალტის ქვის ლორფინების დამზადება	მ3	32,0
5,12	Rehabilitation of stone roofing / სახურავის ბურულის მოწყობა ქვის ლორფინებით	მ2	64,0
5,13	Treatment of joints between wall and stone roofing by hydroisolation / ლორფინსა და ქვის კედელის შეერთების ადგილების დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალით	გრძმ	256,0

6. ცოკოლის რეაბილიტაცია

	დასავლეთი ცოკოლი		
6,1	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	მ2	100

6,2	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	3
6,3	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	9
6,4	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	58,6
6,5	Anchoring of stones / ქვების დაანკერება	unit	22
6,6	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	4
6,7	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	4,8
6,8	Installation of new stones / ახალი ქვის დამატება (sizes: 0,41*0,65*0,3; 0,24*0,38*0,2, 0,12*0,242*0,8; 0,12*0,326*0,8)	m3	0,4
6,9	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	36
6,10	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია	m	127
6,11	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	100
6,12	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება	m2	3
6,13	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	7,5
6,14	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დაძრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	4
	სამხრეთი ცოკოლი		
6,1	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	m2	116
6,2	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	0
6,3	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	10
6,4	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	28,6
6,5	Anchoring of stones / ქვების დაანკერება	unit	25

6,6	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	4,3
6,7	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	10
6,8	Installation of new stones / ახალი ქვის დამატება	m3	
6,9	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	75
6,10	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია	m	27
6,11	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	116
6,12	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება	m2	3,3
6,13	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	1,9
6,14	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დაძრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	8
	აღმოსავლეთი ცოკოლი		
6,1	Treatment with Biocide / ბიოციდით შეწამვლა	m2	80
6,2	Cleaning of cement fillings / ცემენტის შევსებების განახლება	m2	0
6,3	Cleaning of spaces between the stones / ქვებს შორის ადგილების ჰაერის ჭავლით ამოწმენდა *	m	14
6,4	Injection of the joints & cracks / ბზარების და ნაკერების ინექტირება*	m	18
6,5	Anchoring of stones / ქვების დაანკერება	unit	22
6,6	Reconstruction by lime mortar / რეკონსტრუქცია არმირებული კირით	m2	5
6,7	Reconstruction by lime / რეკონსტრუქცია კირით	m2	3,5
6,8	Installation of new stones / ახალი ქვის დამატება	m3	
6,9	Consolidation of joints / ნაკერების განახლება	m	42
6,10	Consolidation of cracks and microcracks / ბზარების და	m	18

	მიკრობზარების ვონსოლიდაცია		
6,11	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება	m2	80
6,12	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება	m2	5
6,13	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა	m2	6
6,14	Removal, cleaning and placement back of loosened stones / დამრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანკერით და კირხსნარით)	m2	0

*სამუშაო არ არის მოცემული სქემებზე ვინაიდან შეუძლებელია ამ სამუშაოს საჭიროების ადგილების წინასწარ გასაზღვრა. რაოდენობის შეფასება მოხდება ძეგლზე უკვე განხორციელებული სამუშაოების გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამუშაოს ზუსტი მოცულობა დადგინდება სამუშაოების წარმოების პროცესში

6. შესასრულებელი სამუშაოების მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის ამომავალი პრინციპი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტობის შენარჩუნება. სამუშაოთა წარმოებისას მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ძეგლის სტრუქტურასა და მხატვრულ სახეში ჩარევა, მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული ნებისმიერი ისტორიული ფრაგმენტი. მასალების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მათი თავსებადობა ისტორიულ მასალასთან. სხვადასხვა ტიპის სამუშაოთა განხორციელებისას გამოყენებული იქნება კონკრეტული მიდგომები კერძოდ:

1. სანიაღვრე სისტემის აღდგენა

სანიაღვრე სისტემის აღდგენა განხორციელდება ერთი მხრივ 2007 წ. ჩატარებული ზოგადი კვლევის დროს გაკეთებული შურფებით მიღებულ მასალაზე და მეორე მხრივ დამატებითი დაკვლევით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იქნება ისტორიული არხის შენარჩუნება და ახალი არხის ანალოგიურად მოწყობა. ძირითად მასალად გამოყენებული იქნება ფლეთილი კირქვა, რომელითაც არის ნაგები ისტორიული არხი.

პირველ ეტაპზე განხორციელდება ისტორიული არხის გათხრა და არსებული მდგომარეობის შესწავლა. სამუშაოები განხორციელდება ხელით, არქეოლოგის უშუალო ზედამხედველობით. განისაზღვრება ახალი და ისტორიული არხების ზუსტი პარამეტრები და გადასაწყობი მოცულობა. შეიქმნება დეტალური პროექტი და ცვლილებები შეთანხმდება დამკვეთთან. ზოგადი სპეციფიკაციების შესაბამისად სანიაღვრე არხის ძირზე მოეწყობა მსხვილ და წვრილფრაქციული ღორღის ფენილი, კოლექტორის კედლები გადაეწყობა კირქვით. სანიაღვრე არხი ჩაეგმება არსებულ ერთიან სისტემაში.

სამუშაოების მიმდინარეობისას გათვალისწინებული იქნება ძეგლის დამთვალიერებელთა მოძრაობის ნაკადები და უსაფრთხოება. გათხრილი მონაკვთები შემოღობილი იქნება მსუბუქი კონსტრუქციით იმგვარად რომ უზრუნველყოს ვიზიტორთა ნაკადის გატარება და ამავე დროს მათი უსაფრთხოება.

სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის შემდეგ მოხდება არხის შევსება ამოღებული გრუნტით და ცოცხალი ბალახოვანი ბელტით დაფარვა

2. კარნიზების რაბილიტაცია

კარნიზების რეაბილიტაციისთვის გამოყენებული იქნება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ზედა იარუსებზე გამოყენებული მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავდა ლუგანოს უნივერსიტეტის პროფ. სტეფანო ვოლტას კონსულტაციით, რომელიც კონტარქტის მიღების შემთხვევაში იქნება სამუშაოთა კონსულტანტი.

სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული იქნება შემდეგი კონკრეტული ქმედებები:

1. ქვის ბიოლოგიური დაზიანების მკურნალობისა. წინასწარ განხორციელდება ზედაპირიდან მიკროფლორის მოცილება. მკურნალობისას ძირითად აგენტად გამოყენებული იქნება ბიოციდი 4%-იანი Benzalconio Cloruro, რომელიც მშრალ ზედაპირზე შეეფრქვევა მთელ ზედაპირს. ბზარებში ბიოციდის დატანა განხორციელდება შპრიცით. განსაკუთრებით მძლავრად დაზიანებულ ადგილებში. ბიოციდი ჩამოირეცხება წყლითა და ჯაგრისით 15 დღის შემდეგ, კედლი მდგომარეობის მიხედვით შესაძლოა ვადის კორექცია). ბიოციდით მკურნალობა განმეორდება განსაკუთრებულად ძლიერი დაზიანების ადგილებში.

2. წინა რესტავრაციის ცემენტის შევსებების მოხსნა

ცემენტის შევსებები, რომლებიც გამოიყენებოდა წინა რესტავრაციების დროს არ შეესაბამება თანამედროვე რესტავრაციის მოთხოვნებს. ისინი განაპირობებს მარილების არსებობას, განსხვავებული თბო-ჰიდრო მახასიათებლებს და ა.შ. შესაბამისად აუცილებელია მათი მოხნა, რაც განხორციელდება მექანიკურად და შეცვლა კირით.

3. ნაკერებისა და ბზარების გამოწმენდა

მოხდება ნაკერები და ბზარების წინასწარ გამოწმენდა ჰაერსი ჭავლით.

4. დუღაბის კონსოლიდაცია

კედლების ერთიანობის აღდგენის მიზნით განხორციელდება არსებული სიცარიელეების ინექტირება. სამუშაოს განხორციელდამდე საინექციო ხსნარის გადინების თავიდან ასარიდბლად განხორციელდება ბზარების და ნაკერესბის ამოვსება

წვრილ ბზარების (<2მმ) - თიხით, რომელიც სამუშაოების დასრულების შემდეგ ადვილად მოიხსნება, ხოლო უფრო დიდი ბზარების - კირხსნარით - განსაზღვრული ინტერვალით მოხდებაPVC-ს მიღები (Ø6-8-10 მმ) ხსნარის ინექტირებისთვის. საინექციოდ გამოყენებული იქნება 1 წილი ნატურალურად ჰიდრავლიკური კირი NHL5 + 1 წილი ჰიდრავლიკური შემავსებელი (პოცოლანა, აგურის ფხვნილი, პემზა). წვრილი ბზარების შემთხვევაში ინექტირება განხორციელდება ნანოსილიკატით.

5. - კედლის გულიდან დაშორებული ქვების ჩაანკერება

კედლის გულს დაშორებული ქვების ჩაანკერება, განხორციელდება დუღაბის კონსოლიდაციამდე და იმუშავებს ინექტირებისას წარმოქმნილი ჰიდრიზონტალური ძალების საწინააღმდეგოდ. ჰიდრიზონტალურად განლაგებული უჟანგავი და მინაბოჭკოვანი არმატურის კონექტორები, გაანეიტრალებენ ჰიდრიზონტალურ დატვირთვებს. ანკერების ბუდეების მომზადება მოხდება დაბურღვით და არა დარტყმით. ანკერი დამაგრდება დაბალი ელასტიურობის მოდულის მქონე წებოთი, ხოლო ანკერის დანარჩენი ნაწილი მთელ სიგრძეზე ჩამაგრდრება ნატურალურად ჰიდრავლიკური კირისა NHL5 და ჰიდრავლიკური შემავსებლის დუღაბით (პოცოლანა ან დაფქული აგური ან მიკრონიზებული პემზა, 1:1/2)

6. ქვის-კედლის საპირე წყობის ნაკლული ნაწილების რეკონსტრუქცია არმირებული კირით და

7. კირით დაკარგული ნაწილების რეკონსტრუქცია და კირის ნალესობის შეცვლა მცირე დანაკარგების შემთხვევაში განხორციელდება კირხსნარით, ხოლო დიდი დანაკარგების შემთხვევაში არმირებული კირით. არმირებული კირის ბათქაში დამზადდება ნატურალურად ჰიდრავლიკური კირის NHL5 დუღაბის, სხვადასხვა გრანულომეტრიის ინერტული მასალისა, უჟანგავი არმატურისა და სტრუქტურული ბადისაგან “FIBRE BUILD RETICOLA” in FRP della FIBRE NET s.r.l..

8. ახალი ქვების დამატება.

ახალი ქვების დამატება განხორციელდება კარნიზის ზემოდან მთელ პერიმეტრზე გამოყენებული მასალა იქნება ისტორიული ქვის ანალოგიური (კირქვის ტიპის), ადგილობრივი კარიერიდან.

9. ცარიელი ადგილებისა და ნაკერების კონსოლიდაცია

ცარიელი ადგილები და ნაკერები შეივსება გრასელოს, ბოჭკოვანი დანამატების, სილიციუმის ქვიშის ნაერთით. შერჩეული იქნება შესაბამისი გრანულომეტრია და სხვადასხვა ფერის ფხვნილი რათა ხსნარი სწორედ ინტეგრირდება არსებულ მასალასთან. ჰიდრავლიკურობის მისანიჭებლად მოხდება ბუნებრივი ჰიდრავლიკური შემავსებლების დამატება.

10. ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია განხორციელდება მიკრონიზებული კირხსნარის ინექტირება. მიკრობზარების შემთხვევაში კონსოლიდაცია მოხდება შპრიცით ნანო-სილიკატის ინექტირებით.

11. ქვის ზედაპირის გაწმენდა განხორციელდება ქვის ზედაპირის გაწმენდა ხდება რბილი ღრუბელისა და ჯაგრისის მეშვეობით

12. ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთიანება – მცირე ნაწილების გაერთიანება მოხდება პარალოიდ B72 –ით, დიდი ფრაგმენტების ეპოქსიდის წებოთი

13. ქვის შეხებვის ადგილების მექანიკური ჩაჭრა.

ქვიბის ზედაპირების ურთიერთსეხების ადგილები, ერთმანეთისგან იზოლაციის მიზნით, ჩაიჭრება და შევსება კირის დუღაბით.

14. დაძრული ქვების მოხსნა, გასუფთავება და დაბრუნება

დუღაბიდან ძლიერ მოცილებული ქვები მოიხსნება, გასუფთავდება და დაბრუნდება კირხსნარისა და საჭიროების შემთხვევაში ანკერის მეშვეობით

3. კრამიტის ბურული მოწყობის სამუშაოები

კრამიტის ბურულის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად სხვადასხვა ეგვდერზე, რათა არ მოხდეს დიდი პერიმეტრის დატოვება მუდმივი გადახურვის გარეშე. განხორციელდება არსებული თუნუქის სახურავის და ხის კონსტრუქციის დემონტაჟი, ბურულქვეშა სიცარილეების გამოწმენდა და შესწავლა.

გამოვლენილ მდგომარეობაზე დაყრდნობით გაანგარიშდება შემავსევლის დატვირთვის გაანგარიშება და მსუბუქი შემავსებელი მასალითა (პემზით) და კირის ხსნარით (კუთრი წონა 1 მ3 = 1300-1400 კგ) შევსება. დიდი დატვირთვის გამოვლენის შემთხვევაში სემუშავდება და კონტრაქტორთან შეთანხმდება ხის კონსტრუქციით ალტერნატიული შევსების მეთოდი.

სახურავის სიბრტყეზე მოეწყობა მინაბოჭკოვანი არმატურის ბადე და კირდუღაბის ხსნარით მოჭიმვა, რომლეზედაც მოეწყობა საიზოლაციო ფენა MasterTile® WP 630. საიზოლაციო ფენაზე მოეწყობა დამცავი 5 სმ-იანი კირხსნარის მოჭიმვა რათა თავიდან იქნას არიდებული მისი პერფორაცია კრამიტის ბურულის მოწყობისას.

კარნიზების გასწვრივ მოეწყობა მოჭიქული კერამიკული „ფარდები“. „ფარდასა“ და კრამიტს შორის სპილენძის ფურცლის წყლის საწვეთურის მოწყობა რკომპონენტიანი წებოთი და ლითონის სამაგრით.

სახურავის ბურულის მოწყობა მოჭიქული კრამიტით განხორციელდება, ყოველი ცალის უჟანგავი სამსჭვალით და ჰერმეტიკის ჟელეთი ჩანკერებით. კრამიტის ბურულსა და ქვის კედელის შეერთების ადგილების დამუშავება ჰიდროსაიზოლაციო მასალით.

კრამიტის „ფარდების“ და ძირითადი ბურულისთვის გამოყენებული იქნება არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კრამიტის მიხედვით აღდგენილი ხელნაკეთი კრამიტი, რომელიც უკვე იქნა გამოყენებული კომპლექსის სხვა ნაგებობებზე და ტაძრის ზედა იარუსების გადახურვისას. კრამიტის მწარმოებელი ინდმეწარმე მაია გაბადაძე.

4. სახურავის მოწყობა თლილი ბაზალტის ქვით

სახურავის მოწყობა თლილი ბაზალტის ქვით განხორციელდება იმავე მეთოდოლოგიით რაც კრამიტის შემთხვევაში. განხორციელდება არსებული თუქწუქის სახურავის დემონტაჟი, არსებული ლორფინის დემონტაჟი, გადარჩევა და ვარგისის დასაწყობება. ანალოგიურად მოხდება სიცარიელეების შევსება, კირხსნარის მოჭიმვის და საიზოლაციო ფენების მოწყობა. შეფასდება არსებული ვარგისი ლორფინის და ახალი ბაზალტის ქვის საჭირო მოცულობა. მოხდება მერადი

ლორფინის გადათლა, ახალი შესაბამისი ბაზალტის ქვის ლორფინის დამზადება და სახურავის ბურულის მოყობა.

5. ცოკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ცოკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩარევებისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით იმეორებს კარნიზის ქვის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს დუღაბის კონსოლიდაციის პროცესში. რიგ ადგილებში, ქვის წყობის უკან (განსაკუთრებით დას. ფასადი) დაფიქსირებული დიდი ზომის სიცარიელების შევსება განაპირობებს დიდი რაოდენობის ხსნარის გამოყენებას. ამგვარი სიცარიელეების შევსებისთვის თავდაპირველად მოხდება არა უმეტეს 30-40 ლტ. ხსნარის ინექტირება 1 კვ. მ, შემდგომი დამატებებით 24 საათის შემდგომ.

სხვა ღონისძიებები კერძოდ: 1. ქვის ბიოლოგიური დაზიანების მკურნალობისა; 2. წინა რესტავრაციის ცემენტის შევსებების მოხსნა; 3. ნაკერებისა და ბზარების გამოწმენდა; 4. დუღაბის კონსოლიდაცია; 5. - კედლის გულიდან დაშორებული ქვების ჩაანკერება; 6. ქვის-კედლის საპირე წყობის ნაკლული ნაწილების რეკონსტრუქცია არმირებული კირით და 7. კირით 8. ახალი ქვების დამატება. 9. ცარიელი ადგილებისა და ნაკერების კონსოლიდაცია; 10. ბზარების და მიკრობზარების კონსოლიდაცია განხორციელდება; 11. ქვის ზედაპირის გაწმენდა 12. ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთიანება; 13. ქვის შეხებვის ადგილების მექანიკური ჩაჭრა. და 14. დაძრული ქვების მოხსნა, გასუფთავება და დაბრუნება განხორციელდება ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით.

6. საგრძნოთა ბრაზილი 2018 წლის 20 მარტი – 2018 წ. 20 დეკემბერი


	0,358 ხ 0,078)							
6,9	Consolidation of cracks and microcracks / გზარების და მიკროგზარების კონსოლიდაცია							
6,10	Consolidation of joints / ნაკერობის განახლება							
6,11	Cleaning of the stone surface / ქვის ზედაპირის გასუფთავება							
6,12	Reassembling the fragmented parts of the stone / ქვის ფრაგმენტირებული ადგილების გაერთანება							
6,13	Notching of places of direct contact / მიბჯენილი საპირე წყობის ქვის მექანიკური ჩაჭრა							
6,14	დაძრული ქვის საჭიროების შემთხვევაში მოხსნა და გასუფთავება, დაბრუნება (ანგერით და კორსენარით)							

დანართი 1.

გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეპიფანიის გადახურვის,
საქართველო სისიცომის რეაბილიტაციის, პარნიზების და
ცოკოლის ქვების პრცენტაციის ნახაზები და სტატისტიკი

კრამიტის მოწყობის სქემა
Plan of the arrangement of ceramic tiles

ზედა კრამიტი	Upper tile
ქვედა კრამიტი	Lower tile
კირ-დუღაბის ფენა	Lime mortal
ჰიდროიზოლაცია	Hydroisolation
კირ-დუღაბის ფენა	Lime mortal
მინა-ბოჭკოვანი არმატურა ბიჯით 10სმ	Fibrous-glass fittings interval 10sm
შემაუსებული	Filler



პროექტის მენცველი
მთავარი არქიტექტორი
შეასრულა

ქახა ტრაპიძე

გადა სოსანიძე

საბა ციკოლია

G ა.ი.ს საქართველოს მეცნიერებობის
სამსახურის მინისტრის მიერ მიმღები მომსახური

მიმღები მომსახური

11.10.2017

კრამიტის მოწყობის სქემა

7

დანართი 2. სახელოვნებათმცოდნეობა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – გიორგი გაგოშიძე გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ეკლარის კირქვის დიდი და საშუალო ზომის სუფთად ნათალი კვადრებითაა მოპირკეთებული. ეკლესიას დასავლეთიდან ნართექსი, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კი მოგვიანო მინაშენები აქვს მიდგმული. შენობის ასაგებად აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მცირედ დაფერდებული ადგილი შეურჩევიათ, სათანადოდ ეკლესიის ცოკოლი მიწის ზედაპირიდან სამხრეთ-დასავლეთით ოთხი საფეხურით აღმოსავლეთით კი მხოლოდ ერთი საფეხურითაა ამაღლებული.

ეკლესიის ვრცელი შიდა სივრცე დიდი გუმბათითაა დაგვირგვინებული. იგი აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდის კედლების კუთხეებს, დასავლეთით კი ორ თავისუფლად მდგომ, რთული კონფიგურაციის ბურჯს ეყრდნობა. გეგმით “ჩაწერილი ჯვრის” ტიპის ამ ნაგებობას აღმოსავლეთით ხუთწახნაგად შვერილი სამი აფსიდა აქვს.

შენობის მთავარი კორპუსის ხუთი კარი – სამი დასავლეთ, თითო კი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებშია გაჭრილი. ჯვრის ოთხივე მკლავის სამ-სამი მაღალი და ფართო სარკმელი, სარკმლის ღიობები ეკლესიის კუთხის მონაკვეთებში და გუმბათის თექვსმეტი სარკმელი თანაბრად და უხვად ანათებს ეკლესიის შიდა სივრცეს. მოგვიანებით, სავარაუდოდ XVI ან XVII ს-ში გუმბათის დასავლეთი ხუთი სარკმელი¹ ამოქოლეს, რამაც არსებითად ვერ შეამცირა ინტერიერში შუქის შედინების ინტენსივობა.

საკურთხევლის აფსიდის ორსავ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა, ისინი კარებით ეკლესიის ცენტრალურ სივრცეს უკავშირდებიან. უშუალოდ საკურთხეველში, ცერად შემავალი სამკვეთლოს კარი მოგვიანებითაა გაჭრილი. ამ სათავსების ზევით, მეორე სართულზე, მსგავსივე გეგმარების მცირე აფსიდიანი სამლოცველოებია. მათზე ასასვლელი - სამკვეთლოსა და სადიაკვნის დასავლეთი კედლების სისქეშია მოწყობილი. მეორე სართულის ეს სამლოცველოები თაღოვანი ღიობით საკურთხევლის სივრცეში გამოდიან.

დასავლეთი მკლავის ორსავ მხარეს, დაბალი მკლავთშორისი მონაკვეთებია, რომლებიც ჯვრული კამარებითაა გადახურული. მათ ზევით, ეკლესიის სივრცეში თაღოვანი ღიობებით გახსნილი პატრონიკეა მოწყობილი, რომელზეც მოხვედრა, დასავლეთი კედლის

¹ გუმბათის დასავლეთი ხუთი სარკმელი აგურითაა ამოქოლილი, სარკმლის ეს მონაკვეთები შიგნიდან გალესილია და ნაწილობრივ მხატვრობითაა დაფარული. გუმბათის ურესკული მხატვრობა XVI ს-ის 20-იანი წლებით თარიღდება (იხ. გელათი, 900, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, განძულობა, თბილისი, 2007, გვ.259.).

უკიდურესი ჩრდილოეთითა და სამხრეთით, კედელში დატანებული საფეხურებიანი ვიწრო ასასვლელებითაა შესაძლებელი. სამხრეთი და ჩრდილოეთი პატრონიკე ერთმანეთს ეკლესიის დასავლეთ კედელზე არსებული ღია გადასასვლელით უკავშირდება; ამ ადგილას, დასავლეთი კედელი, სამივე კარის თავზე გარდამავალი თაღებით მნიშვნელოვნადაა გამსხვილებული. პატრონიკეთა და მათი დამაკავშირებელი გადასასვლელის დასავლეთ კედელში ამოქოლილი თაღოვანი კარებია, რომლებითაც ნართექსის სხვენში შეიძლებოდა მოხვედრა. ამავე სათავსების გვერდითა კედლების ამოქოლილი სარკმლები მიგვანიშნებს, რომ ეკლესიაზე მიდგმული მინაშენები მოგვიანო ხანისაა.

გუმბათის ჩრდილოეთი ბურჯის აღმოსავლეთ კედელზე ეპისკოპოსის სვეტებიანი საყდარია მიდგმული, იგი 1760 წელს მიტროპოლიტმას იოსებმა ააგებინა.

ტაძრის მკლავები ლილვების კონაზე დამყარებული კედლის დეკორატიული თაღებითაა შემკული, რითაც “ცენტრალური ჯვრის” სივრცის მნიშვნელოვნებაა ხაზგასმული. ჯვრის მკლავთშორისი, დაბალი მონაკვეთები მხოლოდ სარკმელთა პროფილირებული საპირეებითაა გაფორმებული. ეს მხატვრული მიდგომა თვალწათლივ ვლინდება ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადზე, აქ კედლის თაღნარი (ხუთი თაღი), მხოლოდ საკურთხევლის აფსიდს ამკობს, გვერდითა აფსიდები, სადადაა დატოვებული. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ხუროთმოძღვარმა, “ცენტრალური ჯვრის” ნაწილობრივ დაფარული კედლები შეწყვილებული დეკორატიული თაღედით შეამკო, რომლებიც მსხვილი ლილვების ნასკვებით რთულად პროფილირებულ კარნიზებთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ კარ-სარკმლეთა საპირეებისა და კარნიზთა მრავალფეროვანი, რთული პროფილები - გელათის ტაძრის მთავარი შემამკობელი ელემენტია. ხოლო ორნამენტული დეკორის სიმცირე, ჩუქურთმით მხოლოდ საკურთხევლის ცენტრალური სარკმლის ქვემოთ არსებული მსხვილი კოპი და სადიაკვნის სამხრეთი სარკმლის საპირეა შემკული, დავით აღმაშენებლის ეპოქის ხუროთმოძღვრების “მკაცრ სტილზე” მიგვანიშნებს².

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობა დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშივეა დასრულებული, ე.ი. ეკლესიის მთავარი მოცულობა მეფის, გარდაცვალებამდე – 1125 წლამდე აშენდა, მაგრამ ეკლესიის მშენებლობა ბოლომდე, რომ არ იყო მიყვანილი, ამას ირიბად დავით აღმაშენებლის ანდებიდან ვიტყობთ: ‘ზოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე (გელათი გ.გ.) შვლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შვლმან ჩემმან,

² გელათი, 900..., გვ. 258.

მეფემან დიმიტრი, სრულ-ჰყოს ყოვლითურთ...”³. ამ ცნობას ეთანხმება ტაძრის არქიტექტურული ფორმები, როგორც ჩანს, თავდაპირველი გეგმარებით ჩაფიქრებული იყო ეკლესიის სამმხრივი - დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების გასწვრივ, თაღოვანი გალერეის აგება (კრონშტეინები მზიდი თაღის საწყისი ქვებით; დასავლეთით ვრცელი ცოკოლი, რომელიც ნართექსის ზომებს ცდება; ამოქოლილი სარკმელი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში)⁴, ეს პროექტი დაიწყო მაგრამ აღარ განხორციელებულა, რასაც დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

ეკლესიის ინტერიერში, ყურადღებას იპყრობს საკურთხევლის კონქის მოზაიკა, რომელზეც ფეხზე მდგომი ჩვილედი ღვთისმშობელი და ორი მთავარანგელოზია გამოსახული (XIIს.). ღმრთიმშობლის ტაძრის მოხატულობის დიდი ნაწილი XVI საუკუნეში იმერეთის მეფეების ბაგრატ III (1510-1565წწ.) და მისი ძის გიორგი II (1565-1585წწ.) დაკვეთითაა შესრულებული. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილია ჯგუფური პორტრეტი: მეფე დავით აღმაშენებელი, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი, იმერთა მეფეები ბაგრატ III და გიორგი II ოჯახებით.

ნიკოლოზ დადიანის ცნობით, სოლომონ I-ის დროს, ეკლესიის ბჭეს ეკიდა ვაზისგან გამოთლილი კარი.⁵

ნართექსი გელათის ტაძრის დასავლეთ კედელზე მიდგმული სამხრეთ ჩრდილოეთის ღერძზე დაგრძელებული გეგმით სწორკუთხა სათავსია, იგი ცილინდრული თაღითაა გადახურული. მას სამი კარი აქვს, თითო სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში და ერთიც, მაღალი და ფართო კარი დასავლეთ კედელში - ეკელსის კარის პირისპირ. დასავლეთი კარი, რომელსაც დეკორატიული თაღი ევლება არქიტრავითაა გადახურული, კარის ორსავ მხარეს თითო, პროფილირებული საპირით მოჩარჩოებული სარკმელია. თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული ყოფილა ტაძრის გარსშემოსავლელის დასავლეთ მონაკვეთზე მეორე სართულის აგებაც, რაზეც ტაძრის პატრონიკედან გამავალი სამი ამოქოლილი კარი მეტყველებს (შეადარე 1152 წელს აგებულ თიღვის ეკლესიას იხ. ლ.რჩეულიშვილი. თიღვა, შარვანის დედოფლის აღმშენებლობა, თბ., 1960). სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ნართექსის მშენებლობა ტაძრის

³ თ.ენუქიძე, ვ.სილოგავა, ნ.შოშიაშვილი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., თბილისი, 1984, გვ.63.

⁴ ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: P. M u n i c a s v i l l e . , დასახ. ნაშრ., გვ.37,45.

⁵ ს.კაგაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი I, თბ. 1914, გვ. 81.

დამთავრებისთანავე, ან მისი მშენებლობის პროცესში როგორც ჩანს დემეტრე I მეფობის პირველივე წლებში განხორციელდა⁶.

ნართექსის სამხრეთ მონაკვთში კედელთან ოთხსვეტიანი სალხინებელია, რომელიც 1660 წლის მახლობელ ხანაში იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660წ.) საფლავზეა აგებული.

სამხრეთი მინაშენი შედგება სამი დამოუკიდებელი სათავსისგან. გეგმით კვადრატული შუა მონაკვეთი ტაძრის სამხრეთი კარიბჭეა, იგი თაქვსმეტი სხივით გაფორმებული კამარითაა გადახურული⁷, რომელშიც ჯვარია აქცენტირებული. კარიბჭეს აღმოსავლეთიდან ემიჯნება წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერი – მცირე დარბაზული სივრცე, რომლის საკურთხევლის აფისდი ექვსწახნაგადაა შვერილი. სამლოცველოს ჩრდილოეთის კედელზე – თაღოვანი ნიშა, არკოსოლიუმია გამოყვანილი. სამლოცველო XIII ს-ის ფრესკული მხატვრობითაა შემკული, და აქ, მეფე დავით ნარინის (1245-1293წ.) ფრესკული პორტრეტია გამოსახული. კარიბჭის დასავლეთით მასთან კარით დაკავშირებული სწორკუთხა სათავსი, წმ. მარინას სახელობის ეკვდერია. სამხრეთი კარიბჭი ეკვდერებით 1130-40-იან წლებშია აშენებული.⁸

ჩრდილოეთი მინაშენი ოთხი სათავსისგან შედგება. ცენტრალური, კვადრატული გეგმარების – კარიბჭეა, იგი ეკლესიის კარის წინ, ოდნავ დასავლეთითაა აგებული. მისგან აღმოსავლეთით მდებარე დარბაზული შენობა მაცხოვრის ეკვდერია, რომლის საკურთხევლის აფსიდი ექვსწახნაგადაა შვერილი⁹. კარიბჭის დასავლეთით, წმ. მარინეს სახელობის სამლოცველოა, მის დასავლეთით კი სწორკუთხა კარიბჭე, რომელსაც არაერთი შეკეთების კვალი ატყვია.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ჩრდილოეთი მინაშენის აღმოსავლეთი ნაწილი – კარიბჭე და მაცხოვრის სამლოცველო თანადროული ნაგებობებია. კარიბჭის დასავლეთ კედელზე მოჩანს ამოქოლილი კარი, რომელიც მასზე დასავლეთიდან, მოგვიანებით მიდგმულმა ეკვდერმა დაფარა, და ბოლოს, ამ უკანასკნელს კარიბჭეც მიაშენეს. გელათის

⁶ Р. М е п и с а ш в и л и . , გვ. 87

⁷ აღსანიშნავია, რომ გელათის მთავარი ტაძრის გუმბათიც თექვსმეტ სარკმლიანია, რაც ქართული ხუროთმოძღვრების განუმეორებელი შემთხვევაა.

⁸ გელათი 900, დასახ., ნაშრ., გვ.258.

⁹ მაცხოვრის ეკვდერში დაკრძალულნი არიან იმერეთის მეფეები: როსტომ I (†1605წ.), გიორგი III (†1639წ.), გიორგი VI (†1720წ.).

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის მინაშენის მშენებლობის ეტაპები XII, XIII საუკუნეებს მოიცავს.¹⁰

გელათის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, აქ სარეაბილიტაციო საუშაო როგორც ჩანს გარკვეულწილად კედლის პერანგს და კარნიზებს უნდა შეეხოს, დაგეგმილია ეკლესიის, ისევე როგორც კომპლექსში შემავალი ყველა ნაგებობის, საბურველის შეცვლა, სათანადოდ მოსაფიქრებელია სახურავიდან ნალექების ნაკადის ორგანიზებაც, რომ წყალი არ დაედინებოდეს კედელს, როგორც ეს დღეს ხდება მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში.

მოპირკეთების დაზიანებული მონაკვეთები:

კედლის მოსაპირკეთებული ქვათლილების ნაწილი მასზე დადენილი ნალექების გამო ეროზირებულია და იშლება. განსაკუთრებით ზიანდება, გუმბათის ყელის ძირისა და ცენტრალური ჯვრის მკლავების შუა მონაკვეთები, რომლებსაც სახურავებზე დაცემული და ასხლეტილი წვიმის წვეთები ესხმევა. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა გამოიცვალოს (ან თუ შესაძლებელია ადგილზე გამაგრდეს) კედლის საპირის დაზიანებული მონაკვეთები და სახურავზე გაკეთდეს, როგორც წვიმის “ასხლეტილი წვეთების” ჩამხმობი მოწყობილობა (სავარაუდოდ ქვიშით სავსე ღარისებრი ავზები) ასევე წყლის შემკრები და საწრეტი მილები.

დაზიანებული კარნიზების აღდგენა:

ეს პრობლემა სასურველია გადაიჭრას იმ მეთოდით, როგორც ბაგრატის ტაძარზე განხორციელდა (არქ-რესტ. ვ.ცინცაძე) ე.ი. შენარჩუნდეს ძველი კარნიზები და აღდგეს მათი ჩამომტვრეული პროფილები.

¹⁰ Р. М е п и с а ш в и л и , დასახ. ნაშრ., გვ. 75.

გელათის ღმრთისმშობლის შობის მთავარი ტაძრის გადახურვის საკითხი

(მცირე სახელოვნებათმცოდნეო კვლევა)

09. XII. 2013.

გელათის მთავარი ტაძრის (1106 წ.) სახურავის საბურველის შესახებ უძველესი ცნობა რუსეთის ელჩების ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის საანგარიშო აღწერილობაშია დამოწმებული (1650-52 წწ.) – ეკლესია რკინით ან სპილენძით ყოფილა დახურული. ¹¹ ქრონოლოგიურად მომდევნო ცნობა (1772 წ.) ეკუთვნის პეტერბურგის აკადემიის წევრს ი. გიულდენშტედტს, რომლის დაკვირვებით: გელათის “ეკლესიათა გუმბათები ძველად უნდა ყოფილიყო სპილენძით დახურული, ახლა კი არის ყავარიო”¹² სავარაუდოდ გელათის მთავარი ტაძრის ყავრის სახურავი გულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ მალევე უნდა შეეცვალათ, იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.) რუსეთიდან ჩამოტანილ რკინის (თუნუქი გ.გ.) ფურცლებით დაახლოებით 1772-1784 წწ-ში გადახურა ღმრთისმშობლის ეკლესია. ¹³ გელათის მონასტრის სახურავის შემდგომი შეკეთებები – საქართველოში ეგზარქოსობის ხანასთანაა დაკავშირებული. 1845 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით, საქართველო-იმერეთის სინდალურმა კანტორამ გადაწყვიტა გელათის მონასტრის საფუძვლიანი შეკეთება, რისთვისაც გამოიყო თანხა (7100 მან. და 85 კაპ. ვერცხლით). მონასტრის შენობები უნდა დახურულიყო თუნუქით, ამ საქმისთვის რუსეთიდან ჩამოყვანილ იქნა ოსტატი – ივანე სტეფანეს ძე კრასოვი. 1846 წლის 6 სექტემბერს კრასოვს თავის მოყვანილ ორ მუშასთან ერთად დაუწყია გელათის დიდი ტაძრის გადახურვა, რომელიც 10 ნოემბრისთვის დაუსრულებია (სურ. 1, 2, 3.). ამავე თვეში სახურავი შეუდებიათ კიდეც. 1847 წლის თებერვლისთვის გადაიხურა ასევე წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის ეკლესიები და სამრეკლო, რის შემდგომაც სახურავები მწვანედ (Sic) შედებეს.¹⁴ თუნუქის დახურვისთვის საჭირო ხის სამუშაო შეასრულეს სოფ. კურსებელმა “ზუროებმა”: ბერეკაშვილებმა, ბეროძეებმა, უკლებებმა, ქაშიბაძეებმა და აბესაძეებმა,¹⁵ მათ 1000 წაბლის და 200 მუხის და თლილი ხეები ნივნივებად გამოიყენეს; გადასახურ სამუშაოზე ლურსმნებისა და კავებისთვის 85 ფუთი რკინა დახარჯულა.¹⁶

გელათის დიდი ტაძრის დღევანდელი თუნუქის სახურავი 1976 წელს წარმოებული რესტავრაციის შედეგია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორ-რესტავრატორი ვ.ცინცაძე. ვ.ცინცაძემ 1846 წელს აწყობილი ნივნივები გამოიყენა და მათ დამატებითი ხარიხები დაამაგრა, რის შემდგომაც ეკლესია თუნუქით დაიბურა (სურ. 2, 3).

ა.წ. 30 ნოემბერს გელათის მთავარი ტაძრის გუმბათის კარვისებური სახურავიდან 1976 წელს დამაგრებული თუნუქის ფურცლის ახსნის შემდგომ გამოჩნდა მუხის მსხვილი

¹¹ ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აწერილობა, 1650-1652 წწ., გამოსცა ი. ცინცაძემ, თბილისი, 1970, გვ.116. ალექსი იევლევის 1651-52 წწ-ში იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, ი. ცინცაძის გამოცემა, თბ. 1969, გვ. 122.

¹² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი და გამოკვლევა გ.გელაშვილისა. ტ. I, თბ. 1962, გვ. 145-147.

¹³ მ. კეზეგაძე. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 119.

¹⁴ იქვე, გვ. 125, 126.

¹⁵ იქვე, გვ. 127.

¹⁶ იქვე, გვ. 126.

მორების ნივნივები, რომელბზეც ჭდობით დაკავშირებული და ნაჭედი ლურსმნებით დაჭედებული ხარიხებია დამაგრებული (სურ. 1-3); 1846 წელს შეკრული კონსტრუქცია საღადაა შენახული. სახურავის ქვეშ მოქცეული გუმბათის სფეროს გარეთა მოცულობა უხეშადაა ნაგები და თავწაკვეთი ლიკონუსის ფორმისაა (სურ.7). წვერში ეს სტრუქტურა წრიული სიბრტყეა, მის კიდეს შემოუყვება მცირე და შემაღლებული კირდუღაბის ჯებირი, რომელსაც მუხის ხის მსხვილი სარტყელი შემოსდევს (სურ1,8), მასზე დამაგრებულია გუმბათის კარვისებრი გადახურვის ირიბად ჩალაგებული ნივნივები. გუმბათის ამ წრიულ სიბრტყეს დიამეტრულად კვეთს ხის მსხვილი ძელი, რომელსაც, წრის ცენტრში აღმართული მსხვილი ბოძი–ბიჯგი (დგარი) ეყრდნობა (სურ. 2). ეს, ირიბანებით დამაგრებული დგარი კარვისებრი გადახურვის ცენტრშია და მის წვერზე იყრის თავს ხის სარტყელზე დამაგრებული ნივნივები. ნივნივები, როგორც აღვნიშნე 1846 წელს თუნუქის საბურველისთვის გაუკეთებიათ; გუმბათის სფეროს გარეფორმებმა დაგვარწმუნა, რომ XIX ს-ში გაკეთებული ნივნივები მველ კონსტრუქციებს იმეორებდა. ამდაგვარი – ხის კარვასი მრავლადაა დადასტურებული შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლებზე და მველი ქართველი ხუროთმოძღვრები მას იყენებდნენ, როგორც კრამიტის ასევე ლორფინის საბურველის მოსაწყობად, რის დასტურადაც მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს: ოშკის ტაძრის (963-973 წწ.) გუმბათის სფეროს ზედა ნაწილში ხის ძელებით შეკრულია კონუსი, რომელზეც კირდუღაბისა და ლურსმნების საშუალებით დარისებრი და ბრტყელი კრამიტებია დამაგრებული (1022-1025 წწ.)¹⁷, ხოლო - ფიტარეთის ტაძრის (1213-1222 წწ.) გუმბათის ხის ნივნივებით შეკრულ და კირხსნარით გადალესილ პირამიდას ლორფინები აფარია.¹⁸

გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიის მკლავების სახურავის ნივნივების გარკვეული ნაწილი ასევე 1846 წელს ჩატარებული რემონტის დროინდელი უნდა იყოს; ისინი უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ მკლავების კამარებზეა დამაგრებული, ასევეა ეს კონსტრუქციები ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ეკვდერებზეც, გარდა ჩრდილოეთით მდებარე წმ. მარინეს სამლოცველოს გადახურვისა. ეს სამლოცველო, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთ კარიბჭეს დასავლეთიდან აქვს მიდგმული XIII ს-ის შუახანებში ან მესამე მეოთხედშია აგებული (სურ.6).¹⁹ მისი ცალფერდა სახურავი ლილვიანი ლორფინებით ყოფილა დაბურული. კიდურა ლორფინები მოჩანს კარნიზსა და სახურავს ქვეშ არსებული ღრებოდან (სურ. 5); სახურავის შუა ნაწილის თუნუქის ბურულის ახდისას ასევე გამოჩნდა ლორფინების ფენილი (სურ.4) (იხ.: რ.ისაკაძე. გელათის კომპლექსის ნაგებობათა სახურავის ელემენტები არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, სურ. 19.). სავარაუდოდ ამ სამლოცველოს ლორფინის სახურავი მისი აგების დროინდელი უნდა იყოს. წმ. მარინეს ეკვდერზე საბურავად ლორფინების გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესიის სახურავის

¹⁷ ოშკი კრამიტი განაახლეს ბიზანტიის ინპერატორების ბასილი II-ისა, და კონსტანტინე VIII დროს, იხ.; ეთავისული. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ. 1960, გვ.54; ვ.ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, ქლარჯეთსა და შავშეთში, თბ. 2006, გვ.133, აქვე პატივცემული ავტორი (ვ.ჯობაძე) ცდება, როდესაც ოშკის გუმბათის მოჭიქულ კრამიტებზე საუბრობს, ესეკლესია მოუჭიქავი კრამიტითაა დაბურული.

¹⁸ მ.ბოჭოიძე. ფიტარეთის არქიტექტურული მმპლექსისა და მისი რესტავრაციის შესახებ, “ძეგლის მეგობარი”, N 1 (89), თბ. 1993, გვ. 38.

¹⁹ Р. М е п и с а ш в и л и . А р х и т е к т у р н ы й а н с а м б л ь Г е л а т и . Т б . 1966, с т р . 75.

სხვა მონაკვეთებიც მაინც და მაინც ლორფინებით ყოფილიყო გადახურული. ე.ი. XIII ს-ის შუახანებში ან ცოტა მოგვიანებით გელათის მთავარი ტაძრის ერთი მონაკვეთი ლორფინით გადაუხურავთ (სურ. 6). რ.გვერდწითელის დაკვირვებით ლორფინის გამოყენება საქართველოში ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების მიჯნაზე იწყება, თუმცა დაბურვის ეს მეთოდი იმ რეგიონებისთვისაა მახასიათებელი სადაც სათანადო ქვის კარიერები მოიპოვებოდა,²⁰ ასეთი რეგიონები კი შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთია; დ. თუმანიშვილს, ნ. ნაცვლიშვილს, დ. ხოშტარიას მიაჩნიათ, რომ ლორფინის გამოყენება საქართველოში VII ს-იდან დაიწყეს, თუმცა ფართო გავრცელება მან X ს-დან პოვა.²¹ აღსანიშნავია, რომ გელათის მიკრო რეგიონისთვის ეკლესიათა ლორფინებით დაბურვის წესი არ არის დამახასიათებელი (იხ.: რ.ისაკაძე. გელათის კომპლექსის ნაგებობათა..., გვ.1.); მართლაც, გელათის მონასტრის სიახლოვეს - ბაგრატის ტაძარის (1003 წ.) გადასახურად ღარისებრი და ბრტყელი კრამიტი უხმარიათ რასაც ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს; აქ მწვანედ და ღვიძლისფრად მოჭიქული კრამიტებია აღმოჩენილი (X-XI სს.)²²; ამგვარივე ჭიქურით დაფერილი კრამიტები დასტურდება ქუთაისის „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზეც.²³ გელათის მონასტრში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა მოჭიქული - ღარიანი და ბრტყელი კრამიტების მრავალი ფრაგმენტი. არქეოლოგი რ.ისაკაძის დასკვნით ამ მასალაში ზოგადად შეინიშნება ორი ქრონოლოგიური მონაკვეთის XII-XIV სს-ის და XVI ს-ის არტეფაქტები. ეს მნიშვნელოვანი დასკვნა და ასევე ის, რომ გათხრებისას ლორფინის ფრაგმენტები არ დადასტურებულა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ - გელათის მონასტრის ნაგებობები და კონკრეტულად ღმრთისმშობლის შობის მთავარი ტაძარია შენებისთანავე მოჭიქული კრამიტით ყოფილა გადახურული.

ამ რიგად გელათის მთავარი ტაძრის სახურავის ისტორია საზოგადოდ ამდაგვარად წარმოგვიდგება:

1. XII-XIV სს-ის მოჭიქული კრამიტი (მუქიმწვანე-ჭაობისფერი, ღია- თბილი ტონალობის მწვანე)
2. XIII ს-ის შუახანა ან მესმე მეოთხედი – წმ. მარინეს სამლოცველოს სახურავი ლორფინით გადაიხურა
3. XVI ს-ე – ცივი ტონალობის მწვანე ფერის და ლაჟვარდისფერი ჭიქურით დაფარული კრამიტი.
4. სპილენძის (?) სახურავი (ცნობა - 1650-1652 წწ.).
5. ყავარი (ცნობა -1772 წ.).
6. თუნუქი (ცნობა – 1772 – 1784 წწ.).
7. თუნუქი (ცნობა – 1846 წ.).

²⁰რ. გვერდწითელი. ორფინის სახურავი. თბ. 1991, გვ.1.

²¹დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ. 2012, გვ. 184.

²²ო. ლანჩავა. ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი, 2007, გვ. 167, 168; დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები...გვ. 195, სურ. 178

²³დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები...გვ. 189, სურ. 174.

8. თუნუქი (1976 წ.)

გელათის მთავარი ტაძრის გადახურვისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

1. გელათის მთავარი ტაძრის გუმბათი და მკლავები მოჭიქული კრამიტით უნდა დაიბუროს. კრამიტის ჭიქურის ფერი განსაკუთრებული ზომიერებით უნდა შეირჩეს. ვფიქრობ ჭიქურის ფერის საფუძველს თბილი ტონალობის მწვანე უნდა წარმოადგენდეს. კრამიტების ჭიქურის ფერები თბილი მწვანედან ჟანგმიწისფრამდე (ოქრა) შეიძლება ვარირებდეს და სახურავზე მკვეთრად განსხვავებული ფერის კრამიტების დალაგებას უნდა მოვერიდოთ. აღსანიშნავია, რომ მწვანედ შეღებეს გელათის ნაგებობათა თუნუქის სახურავები XIX ს-ის შუახანებში ჩატარებული რემონტისდროს, რაც, ვფიქრობ, მონასტრის ადგილმდებარეობითა და ადგილზე და დასტურებული ტრადიციით იყო ნაკარნახევი.
2. მოვერიდოთ მუქ მწვანედ და ღვიძლისფრად მოჭიქული კრამიტების ხმარებას, რადგანაც ისინი “დაამძიმებენ” ეკლესიის ექსტერიერს.
3. წმ. მარინეს (ტაძრის ჩრდ. ფასადის დასავლეთი მონაკვეთი) სამლოცველოს სახურავზე, ძველი - საღი ლორფინები უნდა შევინარჩუნოთ; დაზიანებული ლორფინები კი ძველი ლორფინის ანალოგიური ჯიშის ქვისგან გამოთლილი ახალი ლორფინებით შეიცვალოს.
4. ვფიქრობ შესაძლებელია, რომ გელათის მთავარი ტაძრის ქვედა იარუსის (სამხრეთი და ჩრდილოეთი სამლოცველოები, კარიბჭეები, ნართექსი) სახურავები ლორფინით დაიბუროს: а) ამ მინაშენთა სახურავების ქანობი არარის დამრეცი და ამდენად სასურველია წყალმედეგი და მძლავრი საბურავით დაიფაროს. ბ) ქვედა იარუსის სახურავის ლორფინის რუხი ფერი ვფიქრობ შეესაბამება მკლავებზე არსებული თბილი მწვანე ტონალობის ფერის კრამიტს და მეტად გამოკვეთავს ეკლესიის არქიტექტონიკას.
5. თუ მაინც გადაწყდა ქვედა იარუსის სახურავების მოჭიქული კრამიტით დაბურვა - а) ამ სახურავების კრამიტთა ფერი განსაკუთრებით ფაქიზად უნდა შეირჩეს, რადგანაც ეს სახურავები დაბლაა და თვალისთვის ადვილი მოსახილველია, აქაც მკვეთრად შეპირისპირებული ფერის კრამიტთა განთავსებას უნდა მოვერიდოთ; ბ) უპირობოდ უნდა შენარჩუნდეს წმ. მარინეს ეკლესიის სახურავის ლორფინის ფენილი.

لگو. 2



لگو. 1






სურ.3



სურ.4

፲፻፭፻



დანართი № 3

გელათის კომპლექსის ნაგებობათა სახურავის ელემენტები არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით ისტორიის აკადემიური დოქტორი როლანდ ისაკაძე

05. 12. 2013.

გელათის სამონასტრო ანსამბლის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2007-2010 წლებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური, გეოლოგიური და სტაციონალური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაგროვდა გარკვეული მონაცემები ანსამბლის ცალკეულ ნაგებობებზე გამოყენებული სახურავის მასალის შესახებ.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ცალკეულ შემთხვევებში ქრონოლოგიურ სხვაობას იძლევა და წერილობით წყაროებში დადასტურებულ ფართო მასშტაბიან სამშენებლო თუ განახლებით საქმიანობას უკავშირდება.

სახურავის ელემენტები მოპოვებულია 14 სადაზვერვო-არქეოლოგიური (სურ. 1),²⁴ 32 გეოლოგიური (სურ. 18) შურფისა²⁵ და აკადემიის ინტერიერისა და ექსტერიერის ჩრდილოეთის მონაკვეთის გათხრების შედეგად.²⁶

კოლექციის ნაწილი შეგროვდა ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ კომპლექსის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს (ძირითადად 1990-იან წლებამდე) მოპოვებული მასალებით მოწყობილი იმ გამოფენიდან, რომელიც ეკლესისათვის კომპლექსის გადაცემის შემდეგ მოიხსნა და გელათის სახალხო აკადემიის შენობის უკან ფაქტობრივად სანაგვეზე იქნა გატანილი.

გელათში აღმოჩენილი ცისფრად მოჭიქული სოლენის ტიპის კრამიტები (0,38X0,26 მ., აღნიშნული ზომები ემთხვევა გელათში გათხრებით გამოვლენილი კრამიტების ზომებს) გამოქვეყნებული აქვს მ. გოგსაძეს.²⁷

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის მინაშენის (XIII ს.) კარნიზის თავზე დღემდეა შემორჩენილი მონაცრისფრო, მკვრივი ჯიშის ქვის მასიური ლორფინები. ზემო აღნიშნული გამოფენიდან გამოტანილი რამდენიმე ლორფინის ფრაგმენტიც ხელახლა იქნა მოძიებული

1. მარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008.
2. ლოლანდ ისაკაძე, გელათის კომპლექსის ტერიტორიაზე გაჭრილ გეოლოგიურ შურფებზე ჩატარებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008.

²⁶. ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, გელათის აკადემიის 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008.

²⁷ . მ. გოგსაძე, ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან, თბ. 1949, გვ. 20.

(სურ. 19). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიკრო რეგიონში ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა ლორფინის გამოყენების ფაქტი ჩვენთვის უცნობია.

ისტორიული წყაროებით ცნობილია:

1. XVII საუკუნის 50-იან წლებში ნ. ტოლოჩანოვის მიხედვით მთავარი ტაძარი რკინით,²⁸ ხოლო ა. იევლევის მიხედვით სპილენძით იყო გადახურული.²⁹
2. გიულდენშტედტის ცნობით (1772 წ.) «გუმბათები ძველად უნდა ყოფილიყო სპილენძით დახურული, ახლა კი არისყავარი.»³⁰.
3. გ. ავალიშვილის (1819 წ.) ცნობით სოლომონ I საუკუნო სახსენებელი დაიმკვიდრა «...გუმბათისა სამჯრეებითურთ მისით როსსიით მოტანილისა რვალისა თხელთა ფურცელთა გამო დახურვთა ანუ გარდაჭედითა და მწუანე ფერად შეღებითა....»³¹
4. ცნობილ ორიენტალისტ ქრისტიან ფრენზე (1782-1851) დაყრდნობით დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, რომ მთავარი ტაძრის გადასახურავად იმპერატრიცა ეკატერინე II სოლომონ I თუნუქის ფურცლები და ოსტატი გამოუგზავნია, რომლის გარდაცვალების შემდეგაც იმერელ ოსტატებს ბერების თანხმობით დარტყმდის კარების ერთი ფრთა ლურსმნების დასამზადებლად დაუჭრიათ.³² (ე. აიხვალდი, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა 1825-1826 წლებში აღნიშნავს: «როგორც ამბობენ, იყო მეორე (კარი. რ. ი.), რომელიც უკვე მრავალი წლების წინ თოფის ტყვიებად გადაადნეს, ანდა ალბათ მონასტერში საერთოდ არ ყოფილა»³³). XVIII ს-ში რუსეთ-იმერეთის ურთიერთობების გათვალისწინებით სავარაუდოდ ეს უნდა მომხდარიყო 1772-1784 წლებს შორის. ამავე ფაქტს ადასტურებს ქუთაისის მუზეუმის #703 საბუთიც: «....საკუთრითა მონაგებითა თვისითა დახურა ახლად სრულიადი იგი ეკლესია რკინის ყავრულითა....»³⁴
5. დიუბუას გრავიურის მიხედვით XIX ს-ის 30-იან წლებში მთავარი ტაძრის, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების გუმბათები თუნუქით ჩანს გადახურული (სურ. ???).

²⁸ . ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. 1ასე ცინცაძის გამოცემა, თბ. 1970, გვ. 116.

²⁹ . ალექსი იველევის 1651-1652 წწ. მერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, იასე ჩინცაძის გამოცემა, თბ. 1969, გვ. 122.

³⁰ . გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. ელაშვილის გამოცემა, თბ. 1962, გვ. 144.

³¹ . გ. ავალიშვილი, მზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ. 1967, გვ. 19.

³² . მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქაელიშვილი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ, „ანალები“, თბ. 2000, გვ. 79-88; იხ. აგრეთვე: შ. ბურჯანაძე, სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი, თხუ შრომები, ტ. XI, I. თბ., 1950., გვ. 91; P. მე მ ი ს ა შ ვ ი ლ ი, არქიტექტურის ანსამბლის გელათი, თბ., 1966, ს ტ რ. 16.

³³ . ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2005., გვ. 155.

³⁴ . მითოთებულია მ. გოგსაძის მიხედვით. მ. გოგსაძე, გვ. 21.

6. 1837 წელს წმ.გიორგის ეკლესიის დასავლეთის მინაშენი გადახურეს კრამიტით, გამოცვალეს იატაკი და შეათეთრეს კედლები.³⁵
 7. 1840 წელს წმ.გიორგის ეკლესია და სახლები ყავრით გადახურეს.³⁶
 8. 1843 წელს მთავარი ტაძრის სამი კალთა ძველივე რკინის ფურცლებით გადახურეს, ხოლო ნაპრალები და ნახვრეტები საგოზავით ამოავსეს.³⁷
 9. 1845-1847 წლებში ძირითადი ნაგებობები კვლავ თუნუქით გადახურეს³⁸ და სულ მაღა მწვანედ გადაღებეს.
 10. 1858 სახურავები მეორედ გადაღებეს.³⁹
 11. მე-19 ს-ის 60-იანი წლების ფოტოზე ანსამბლის დამხმარე ნაგებობების ერთი ნაწილი ყავრით ჩანს დახურული (სურ. 2). ვფიქრობთ (რამდენადაც ეს ფოტოზე გაირჩევა) მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქი და გუმბათი, ასევე სამრეკლოს, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების გუმბათები ყავრით (თუ კრამიტით??), ხოლო დანარჩენი კალთები თუნუქითაა დახურული.
- ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და ხელოვნებათმცოდნეობით კვლევების მიხედვით გელათის კომპლექსზე ორი დიდი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა:
1. დავით აღმაშენებლის, დემეტრესა და მათი უშუალოდ მომდევნო ეპოქა—დაახლ. 12-14 სს.
 2. ბაგრატ III იმერეთის მეფისა და მელქისედევ კათალიკოსის ეპოქა (ზოგადად XVI ს.).

ისტორიული ცნობებისა და ძეგლის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით, გათხრებით აღმოჩენილი სახურავის ელემენტები (მოჭიქული კრამიტები) და მათი თანმხლები არქეოლოგიური მასალაც ამ ორ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა. გელათში ფიქსირებული სხვა, მცირე მასშტაბის სამშენებლო ფენებში მოჭიქული კრამიტების ცალკე ქრონოლოგიური ჯგუფების არსებობა ჩვენს ხელთ არსებული მასალით არ დასტურდება.

პირველი და მეორე ჯგუფის მოჭიქული კრამიტები ერთმანეთისაგან მკვეთრად განირჩევიან რამდენიმე ნიშნით:

1. კეცის ფაქტურა: პირველი ჯგუფის კრამიტები სუფთად განლექილი თიხისგანაა დამზადებული და ამ ნიშნით ქუთაისის ნაქალაქარის შესაბამისი ეპოქების ნაწარმს

³⁵. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომ ქ. ც. ს. ა.), ფ. 21, ს. 1465, ფურც. 189. საარქივომასალებიმითოთებულია მ. კეზევაძისმიხედვით (იხ. მ. კეზევაძე, გელათის მონასტერის ეგზარხოსობის დროს, ქუთ, 2006).

³⁶. ქ. ც. ს. ა. ფ. 21, ს. 1865, ფ. 1., ს. 1675, ფ. 22

³⁷. ქ. ც. ს. ა. ფ. 21, ს. 2018, ფ. 34

³⁸. ქ. ც. ს. ა. ფ. 21, ს. 3065, ფ. 1

³⁹. ქ. ც. ს. ა. ფ. 21, ს. 5492, ფ. 1, 27

უახლოვდება; მეორე ჯგუფის თიხა კი უხეშად განლექილია, მსხვილ მარცვლოვანი მინარევებით.

2. კალიპტერის ფორმის კრამიტები ფორმითა და მოყვანილობით ქუთაისი სნაქალაქარის შესაბამისი ეპოქების ნაწარმს იმეორებს.
 3. პირველი ჯგუფის კალიპტერის ფორმის კრამიტების ვიწრო ბოლოზე გარდი გარდმო გადაყოლებული საყრდენი ქედი სტილისტურად თითქმის იმეორებს ბაგრატის ტაძრის კრამიტების ანალოგიურ დეტალს (სურ. 17). ჩანს ამ დეტალის დამზადების ძველი (XI ს.) ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხალია.
 4. სოლენის ფორმის კრამიტების ფართე ბოლოზე გარდიგარდმო გადაყოლებული ზღუდარი მართალია ორივე ჯგუფის მასალაზე დასტურდება, მაგრამ ზომებში და პროპორციებში განსხვავება პირველის სასარგებლოდ სრულიად აშკარაა (სურ. 4; და სურ. 14; 20შეად. სურ. 13 და 16-ს).
 5. ფორმების დახვეწილობა: პირველი ჯგუფის კრამიტები კარგად დამუშავებულ, დახვეწილი ფორმის ყალიბშია დამზადებული, მეორე კი უმეტეს შემთხვევაში დაუდევრად ნაკეთებია და ზოგჯერ ყალიბშივე დეფორმირებული.
 6. პირველი ჯგუფის სოლენის კრამიტების აკეცილი ბორტის დახვეწილი პროპორციები მეორე ჯგუფში აშკარად დაქვეითებულია.
 7. ჭიქურქეშ დადებული ანგობის ხარისხი პირველ ჯგუფში ოვალშიაცემია.
 8. პირველ ჯგუფზე გამოყენებული ჭიქურის დატანის ტექნიკა, ფერთა გამა, დაცულობის ხარისხი მეორესთან შედარებით აშკარად უკეთეს სურათს იძლევა.
 9. თუ პირველი ჯგუფის მასალაში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა სოლენისა და კალიპტერის კრამიტები, მეორე ჯგუფი ჯერჯერობით მხოლოდ ორიოდე კალიპტერითაა (სურ. 4; 9) წარმოდგენილი. ანალოგიური თანაფარდობა ჩანს ქუთაისის ნაქალაქარის გვიანი შუასაუკუნეების საწყისი ეპოქის (დაახლ. 15-16 სს.) მასალებშიც.
- ორივე ჯგუფის კრამიტებია აღმოჩენილია როგორც მთავარი ტაძრის გარშემო, ასევე კომპლექსის სხვა ნაგებობათა მახლობლად გაჭრილ არქეოლოგიურ და გეოლოგიურ შურფებში, ასევე დასტურდება კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე ანაკრეფ მასალაში (როგორც გალავნის შიგნით, ასევე გარეთ) და აკადემიის შენობის გათხრებისას (პირველი ჯგუფის კუთვნილი, მუქ-ლურჯად მოჭიქული სოლენის ერთი ნიმუში [სურ. 14] 2013 წლის 2 დეკემბერსაც აღმოჩნდა მთავარი ტაძრის ნართექსის სახურავის ქვეშ.). მეორე ჯგუფის სოლენის კრამიტების ნატეხი და მთლიანი ეგზემპლარებით მოგვიანებით (ალბათ გუმბათის ყელის სარკმლების თანადროულად) ამოქოლილია მთავარი ტაძრის პატრონიკეს სამხრეთის ფასადზე გაჭრილი სარკმელი (სურ. 13; 16).

მეორე ჯგუფის კრამიტების ზუსტი ანალოგები აიკრიფა 2003 წელს კომპლექსის ჩრდილოეთით არქეოლოგიური მეთვალყურეობის გარეშე გაწმენდილი მთავარანგელოზთა ეკლესიის ეზოშიც.

იმერეთის მეფე ბაგრატ III მიერ სეფე-ჯვარის მტვირთველ ფანჩულიძის სახელზე 1527 წელს გაცემული წყალობის წიგნით მას გელათისთვის განუახლებია «.....მურვან ყარუსაგან დაქცეული და აოხრებული მთავარანგელოზისა ეკლესია...»,⁴⁰ რომელიც მკვლევართა მიერ გაიგივებულია მონასტრის გალავნის ჩრდილოეთით 300-იოდე მეტრის დაშორებით მოქ.

⁴⁰. ს. კაგაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I.გვ. 1921. გვ. 8-9

ბაკურაძის ეზოში არსებულ ძეგლთან.⁴¹ აქედან გამომდინარე მეორე ჯგუფის კრამიტების ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა XVI ს-ის 20-იან წლებზე მოდის.

ორივე ჯგუფის კრამიტების ფერთა გამა და დამზადების ტექნიკა გარკვეულად იზოლირებულ სურათს გვიხატავს და მიკრო რეგიონის ჩვენთვის ცნობილ ძეგლებზე პრაქტიკულად არ მეორდება. ეს გარემოება და ჭიქურის მასის დასაფქვავი ქვასანაყის(სურ. 21) აღმოჩენის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ კომპლექსის ტერიტორიაზე ან მიმდებარედ მოჭიქული კერამიკის ორფენიანი საწარმოს ნაშთია საგულვებელი.

წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაზე მოჭიქული კრამიტების პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის კუთვნილია შემდეგი ნიმუშები:

სურ: 4₁₋₂₋₃₋₄₋₅₋₇; 5_{7; 10-18}; 6; 7₁₋₂; 8_{1-2-3; 9₁₋₂; 10_{1; 11₁}; 14; 17; 20.}

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის კუთვნილია შემდეგი ნიმუშები:

სურ: 4₅; 5_{1-2-3-4-5-6; 8-9}; 9₁; 12; 13; 16.

დასარულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული წყაროებით, საარქივო ნარატიული და ფოტო მასალებით, აგრეთვე არქეოლოგიური არტეფაქტებით ძირითად ნაგებობებზე დასტურდება სხვადასხვა სახის გადახურვის ელემენტი: ორი ქრონოლოგიური ჯგუფის მრავალფეროვანი მოჭიქული კრამიტები, ლორფინი, სპილენძი, თუნუქი, ყავარი და ზოგჯერ რამდენიმე მათგანი ერთდროულადაც კი.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ მეთოდოლოგიურად გამართლებული იქნება რეაბილიტაციის პროცესში მსგავსი კომბინაციების განმეორება.

არქეოლოგიური მონაცემები სადრენაჟო სისტემის შესახებ

2007 წ. ჩატარებული ტერიტორიის ზოგადი დაკვლევის დროს გაკეთდა რამდენიმე არქეოლოგიური შურფი, რომელთა შედეგად გამოვლინდა ისტორიული სანიაღვრე სისტემის არსებობა ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებზე. არხი მიემართება აკადემიის მიმართულებით და თაღოვანი გადახურვით

⁴¹. მ. გოგსაძე..... გვ. 51-52;

ქ. ც. ს. ა. ფ. 21, ს. 1465 ფ. 180, 189. მითითებულია მ. კეზევაძის მიხედვით (იხ. მ. კეზევაძე, დას. ნაშრომი, გვ. 26-27);

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე, გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ქუთ. 2008., გვ. 5-8.

გამოდის ქვედა ტერასაზე. ისტორიული არხი აგებულია კირქვის და დამუშავებული ქვის წყობით.

#1-3-9 შურფები გაიჭრა მთავარი ტაძრის დასავლეთით, ეზოში, მიწის პირამდე დანგრეული გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობებისა და მთავარ ტაძარზე ადრეული ფენების დაზვერვის მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა #1 შურფი მასიურკედლებიანი სწორკუთხა ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის ინტერიერში. გვიანდელი გალავნის კედელი, რომელიც მოქალაქე პ. ჯანგავაძის ეზოს დასავლეთიდან საზღვრავს, გაუქმებულ ნაგებობას ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კვეთს.

შურფის ერთ მეტრზე დაღრმავებისას გამოირკვა, რომ შეიძლება საქმე გვქონოდა XII საუკუნემდელ ნაგებობასთან, ამიტომაც შურფი მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით და დასავლეთისა და სამხრეთის კედლებს გარედან გავუჭრით ვიწრო ტრანშეა, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ ნაგებობა სულ ცოტა ორჯერაა გადაკეთებული და ფუნქციაშეცვლილი.

პირველი გადაკეთება-განახლების შემდეგ ნაგებობის ფუნქცია შეუცვლიათ. ამ ეტაპზე მთლიანად ამოქოლილია სამხრეთის, ხოლო 0,5 მ-ის სიმაღლეზე დასავლეთის კარები, რომლის ჩრდილო ნაწილში კედლის ინტერიერის გაყოლებით 3,5 მ. სიგრძის, 0,4 მ. სიმაღლისა და 0,5 მ. სიგანის მერხია ამოყვანილი. მისგან აღმოსავლეთით ნაგებობას მთელ სიგანეზე კვეთს სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიმართული სავარაუდოდ ნახმარი წყლის არხი. არხის ფსკერი შედგენილია გრუნტში? პირაღმა ჩასმული 38 სმ-ის სიგრძის, თეთრ ანგობზე მწვანედ მოჭიქული ღარიანი კრამიტებით. გვერდებზე ცერად დაწყობილი ბრტყელი, ფლეთილი ქვებით, რომლებიც ზემოდან გადახურულია ისეთივე ფილებით, არხის სიმაღლე 0,3 მ-დეა გაზრდილი (სიგანე 0,3 მ.). სამხრეთის კედელთან არხის დასაწყისი 0,7 მ-დე სიგანის მასიური ქვის ფილებითაა გადახურული. არხის აღმოსავლეთით მთელ სიგრძეზე გაიწმინდა სხვადასხვა დონეზე მდებარე, ერთმანეთისგან განსხვავებული სტრუქტურის ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი ავზების ფრაგმენტები. მათი ძირითადი ნაწილი გაუთხრელ ფართობში გადის. არხი, რომელიც საგრძნობლადაა დახრილი ჩრდილოეთისაკენ, რათა წყალს თავისუფლად ედინა, გატარებულია

თავდაპირველი ნაგებობის ჩრდილოეთის კედელში ფლატეს მიმართულებით და ასევე გაუთხრელ ფართობში გადის. დასავლეთის კარის მონაკვეთში იქ, სადაც სახურავის ერთი ფილა ადრევე დაძრული იყო, არხის შევსების ფენაში ვერცხლის ორი ტრაპიზონული მონეტა აღმოჩნდა ისინი მოჭრილია მანუილ I და იოვანეს სახელზე და XIII ს-ის ბოლო და XIV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან⁴¹. ეს თარიღიუნდა მივიჩნიოთ ნაგებობის ფუნქციონირების მეორე ეტაპის ზედა ზღვრად. ფუნქციონირების მესამე ეტაპზე ინტერიერში შეიმჩნევა ალიზის იატაკის დონეები, ხოლო ექსტერიერში, დასავლეთით ფიქსირდება სავარაუდოდ მე-2 და მე-3 ეტაპის დროინდელი მინაშენები, სადაც გაირჩევა ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილი დონეები⁴²

საინტერესო მასალა აღმოჩნდა #5 შურფის გახსნიასას. #5 შურფი (3X3 მ.) დაიდო მთავარი ტაძრის სამხრეთის მინაშენის წინ 6-7 მეტრის დაშორებით იქ, სადაც ეზოში ადრევე ჩანდა ხელოვნურად ჩაღრმავებული ადგილი. პირველივე ბარისპირზე გამოიკვეთა დაუმუშავებელი ქვის ფილებით გადახურული, კლდის ბუნებრივ ნაპრალში მოწყობილი სადრენაჟე არხი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ არის მიმართული. ამავე არხის ნაწილები #12 და #14 შურფებშიც გამოვლინდა და მისი დანიშნულება მთავარი ტაძრისათვის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთის ფერდობებიდან წამოსული ატმოსფერული ნალექების მოშორება იყო. არხის დანგრეული ნაწილიდან მწვავედ მოჭიქული კრამიტის რამდენიმე ნატეხი ამოვიდა, მათ შორისაა სამკუთხა ფორმის მოჭიქული ანტეფიქსი ადორანტის? რელიეფური გამოსახულებით .

აღნიშნული არხის გაგრძელება #12 და #14 შურფებშიც გამოვლინდა, სადაც იგი ჩასმულია გრუნტში, რომელიც ამ შურფებში დაახლოებით 0,2 მ-ის ჰუმუსის ქვეშ იწყება. ამ მონაკვეთებში არხის სიგანე 0,4 მ-ია და ნაგებია კირქვის მომცრო ქვებით.

⁴² გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბერიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. გვ.3-5



ისტორიის აკადემიური დოქტორი: /როლანდ ისაკაძე/



1.



2.









6



8

64



13.




12.



11.



10.



15.




14.



19.



16.



20. 21.



დანართი №4

გელათის სამონასტრო კოპლექსის მთავარი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ტექნიკური მდგომარების შესახებ

გელათის ანუ გაენათის სამონასტრო კოპლექსი და, განსაკუთრებით, მისი მთავარი ტაძრის ისტორიული და მხატვრულ-გამომსახველობითი ასპექტები მე-20 საუკუნის განმავლობაში მრავალი მკვლევარის მიერ იქნა დაწვრილებით შესწავლილი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონ ბ. ლომინაძის გამოკვლევა. და ქალბატონ რუსუდან მეფისაშვილის კაპიტალური ნაშრომი “გელათი”.

ზემოხსენებული ნაშრომები ყოველმხრივ მიმოიხილავდნენ კომპლექსის ცალკეულ ობიექტს და ცხადია, არც საინჟინრო-ტექნიკური ანალიზი რჩებოდა მათი ყურადღების გარეშე, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ მრავალი გამოკვლევა არის მოსალოდნელი.

ტაძრის ნაწილების უკეთ დასახასიათებლად პირობით შემოღებულია მზიდი კედლების ღერძული დანომრვა სამხრეთიდან ჩრდილოეთით “1-1”-დან “6-6”-მდე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით “ა-ა”-დან “ლ-ლ”-მდე.

შენობის გეგმა ნართექსის ჩათვლით ჩაწერილია ოთხკუთხედში, რომლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ამოკვეთილია, ხოლო აღმოსავლეთი მხარე ბოლოვდება სამი წინ გაშვერილი და ორი: ჩრდილოეთის და სამხრეთის აფსიდით, რომლებიც სადიაკვნესა და სამკვეთლოს შიდა განივი კედლების გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. აღმოსავლეთის მხრიდან ტაძარი 5-ნავიან ნაგებობად აღიქმება, მაგრამ ინტერიერში ცენტრალური დარბაზი სამ ცენტრალურ აფსიდს აერთიანებს და სამნავიან სახეს ღებულობს. გეგმაში ტაძრის გაბარიტული ზომებია (3415X3595)სმ.

ტაძრის დამაგვირგვინებელი გუმბათის ყელი აზიდულია ცენტრალური აფსიდის მკლავებზე და “დ-დ” ღერძზე მდებარე კოლონებზე. ამ წერტილებში თავს იყრის ზომიერად განზიდული ჩრდილოეთის და სამხრეთის მკლავები, ხოლო დასავლეთის მკლავი ტრადიციულად უფრო მეტადაა განვითარებული. ეს ოთხი მკლავი ქმნის ცენტრალური დარბაზის მოცულობას. გუმბათის ყელიდან ქვეყნის ოთხთავე მხარეს ეშვება მომიჯნავე სათავსოების სახურავები, რომელთა სიბრტყეების მონაცვლეობა წარმოშობს საქართველოს მთიანი ლანდშაფტის ასოციაციას, ფოტოები: 1,2,3.

ძირითადი მზიდი სისტემა კონცენტრირებულია გუმბათის ირგვლივ, “ე-ე”/”ი-ი” და “3-3”/”4-4” ღერძებზე განლაგებული სვეტების თავზე გადარკალული თაღების წნულით. თაღების გასწვრივი და განივი მდგარობა უზრუნველყოფილია მინაშენებით რომლებიც, როგორც ზევით ითქვა, განაპირა ნავებს წარმოადგენენ. ტაძრის დასავლეთით, ჩრდილოეთის

და სამხრეთის ნავები (იგივე განაპირა) პატრონიკენით სრულდება, რომლებიც შეერთებულია ბაქნით, ფოტოები: 4,5. მთავარი და დამხმარე კონსტრუქციები ჰქმნიან გუმბათის ყელის (დოლის) დამჭერ მზიდ სისტემას და იმავდროულად კონტურზე განლაგებული გარე კედლებთან ერთად უზრუნველყოფენ ნაგებობის გასწრივ და განივ მდგრადობას.

ტაძრის ჯვრის შემდგომ ეპოქის ძეგლია და ცენტრალურ გუმბათოვანი სისტემისაგან განსხვავებით მზიდი ელემენტები უფრო პერიფერიულად არიან განლაგებულნი. ტაძრის პერიმეტრზე აღსანიშნავია, რომ თაღების პირები დამუშავებულია უფრო მარტივი პროფილებით ვიდრე ეს აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებშია გავრცელებული, რის გამო ისინი ერთიან მრუდე ზედაპირებს ჰქმნიან, რითაც უფრო მძლავრ მზიდ ელემენტებს წარმოადგენენ. ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოხატულია, რამაც, აღბათ თავის მხრივ, განაპირობა სვეტებისა და თაღების პროფილების სისადავე.

გუმბათი, შიდა დიამეტრით 966 სმ, განათებულია 16 სარკმელით, რომელთა შორის ასევე 16 შუაკედლისია განთავსებული. შუაკედლისების სისქე 85სმ-ია. შიდა წრეზე მათი ხაზოვანი სიგრძე დაახლოებით 95 სმ-ია, ისევე როგორც ღიობებისა, ფოტო 6. გარეთა წრეზე ღიობების სიგანე 55 სმ-ია, ხოლო შუაკედლისებისა – 168 სმ. გუმბათის სახურავი კონუსის წვერის სიმაღლე ტაძრის იატაკიდან შეადგენს 3526 სმ-ს.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ სამონასტრო ანსამბლის ტერიტორია და მიმდებარე უბნები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. საკვლევი მოედანი აგებულია ტექნოგენური-კონსოლიდირებული ნაყარი (სგე-1), დელუვიური (თიხოვანი) (სგე-2) და კირქვის დოლომიტიზებული (სგე-3) ფენებისაგან. სამონასტრო ანსამბლის ყველა ძირითადი ნაგებობა დაფუძნებულია ძირითად ქანზე, კირქვებზე.

საძირკვლები აგებულია კირქვის თლილი ქვებისაგან კირის დუღაბზე. კირქვის ფენიდან საძირკვლის ჩაღრმავება მერყეობს 40-დან 150სმ-მდე. კირქვის მზიდუნარიანობა ფრიად მაღალია და იმავე მონაცემებით 190სკ/სმ² შეადგენს. თავად საძირკველი კირქვის თლილი ქვებისაგანაა კირხსნარის დუღაბზე. არსებული მონაცემებით ასეთი დუღაბის სიმტკიცე დაახლოებით $20 \div 50$ სგ/სმ² შეადგენს, ხოლო კირქვებისა $200 \div 300$ კგ/სმ²-ს. ასე რომ, წყობის საბოლოო სიმტკიცე 30-დან 45კგ/სმ²-ის ფარგლებში იქნება, რაც გამორიცხავს საძირკვლების გაუთვალისწინებელი დეფორმაციების წარმოქმნას.

საძირკველს ზევით სტერეობატური ზემირკველია, რომელიც დასავლეთის მხარეს სამსაფეხურიანია, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან დაბლდება და ერთ საფეხურამდე დადის. ზემირკველის ბლოკები ბაზალტისაა.

ზემირკველს ზედა მზიდი კონასტრუქციები: კედლები და სვეტები იმავე მასალითაა ნაგები. მათი სიგანე იცვლება 81-დან 150სმ-ის ფარგლებში. წყობა სამფენოვანია შიდა და გარეთა მოპირკეთების შრეები გაერთიანებულია კირბეტონის შუა ფენით. აღსანიშნავია, რომ მთავარი ტაძრის მშენებლობისათვის გამოყენებულია ციკლოპური ზომის ქვის ბლოკები, განსაკუთრებით ზემირკველსზედა რიგებში, სადაც ზოგიერთი მათგანის გაბარიტული ზომები (430X170)სმ-საც კი აღწევს.

შენობა ნაგებია მკვიდრად და თითოეული დეტალის საგულდაგულო შესრულებით. ქვის კვადრები დამზადებულია ბუნებრივი ფორმის კარნახით, რომელიც ასე ნიშანდობლივია ძველი ქართველი მშენებლებისათვის. ხშირად გვხვდება ქვის ერთი ლოდისაგან ნაკვეთი თაღური ზღუდარი, ფოტო 11; დუბლირებული თაღი დიდი მალის ღიობზე, სადაც თაღის ამგები კვადრები ორგანულადაა მორგებული წყობის ელემენტებთან, ფოტოები: 12, 13 და სხვა. არას ვამბობთ ქვებზე ნაკვეთი ჩუქურთმების სინატიფეზე და გამომსახველობაზე. სამშენებლო ტექნიკის და მასალების სრულყოფილი მომარჯვებით ძეგლი ჭეშმარიტი შედევრია.

შენობის სახურავი ამჟამად თუნუქითაა გადაწყვეტილი. ფურცლოვანი თუნუქი დაკრულია ხის შელარტყვაზე და ხის ცილინდრული ღეროებით გამოყვანილია ლორფილების იმიტაცია. ტაძრის ბურვილი სამომავლოდ სპეციალური განხილვის საგანია.

ტაძრის მზიდი სისტემის მდგომარეობა, დღეისათვის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს. როგორც ცნობილია, განვლილი საუკუნეების განმავლობაში ტაძარს გადატანილი აქვს ბუნებრივი სტიქიური ზემოქმედებები და “ადამიანების” მიერ თავსდატეხილი უბედურებანი, რომელთა კვალი სამწუხაროდ ბევრგანაა დარჩენილი ტაძრის ტანზე და სათანადო ნიშნებითაა აღნიშნული ანაზომებზე. ამასთან ერთად შეინიშნება ცალკეულ მეორეხარისხოვან მოცულობათა კავშირების დარღვევა ძირითად ტაძართან. ტაძრის მოპირკეთების გამოქარვის შემთხვევები, რომლებიც კარგად ჩანს ზევით მითითებულ ექსტერიერის ამსახველ და შემდეგ ფოტოებზე: 14, 15, 16. მაგრამ ყველაზე ძლიერად ტაძრის სხეულზე ნაჭდევები დაუტოვებია წვიმა-ქარის ზემოქმედებას. ზოგადად ეს დაზიანებანი ზემირკვლისათვის მოცემულია მათი განშლის ფოტოებზე (7, 8, 9, 10), ხოლო დაზიანების ხარისხის წარმოსადგენად ნაჩვენებია ფოტოები 14 და 15. ანალოგიურად ზიანდება გუმბათის ყელი იმ ნაწილში, რომელიც ნავებზე და ტრომპებზე არის დაყრდნობილი, ფოტოები 19 და 20.

აღნიშნული დაზიანებანი თავისი სიმძიმით დიდად ჩამოუვარდებიან ლავგარდანის დაზიანებებს; საუკუნეების განმავლობაში და თანადროულ ეპოქაში ატმოსფერული ნალექებით მიყენებული ზარალი განუზომელია. აღნიშნული, ვერაგი და დამანგრეველი

ფაქტორისათვის მნიშვნელობა არა აქვს ტაძრის კედლების ორიენტაციას, სახურავის დაქანებას, მდებარეობას გუმბათზე თუ მიწიდან 3-4 მეტრის სიმაღლეზე: ლავგარდანის კვადრები თითქმის ერთიანადაა დაზიანებული და შეიძლება ითქვას ვეღარ ასრულებს მისთვის განკუთვნილ დამცავ ფუნქციას, რაც კარგად ჩანს ფოტოებზე. ტრადიციულად ქართული ძეგლების ლავგარდანები არ ხასიათდებიამ მაქსიმალური გამოსვლით კედლის სიბრტყიდან, მაგრამ მსგავსი დაზიანებები რასაც ტაძარზე აქვს ადგილი, არსად არ აღინიშნება. როგორც ჩანს, ატმოსფერული ნალექების ქიმიური შემადგენლობის შეცვლამ და რიონის ველზე გაბატონებულმა ქარებმა მიაყენეს გამოუსწორებელი ზიანი ტაძარს.

აღნიშნულ დაზიანებათა მიუხედავად ტაძრის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობა საძირკვლების, მზიდი კედლების, შენობის შიდა თაღების და გუმბათის მდგომარეობის გათვალისწინებით დამაკმაყოფილებელია და კონსტრუქციულ ჩარევას არ საჭიროებენ.

სარესტავრავიო სამუშაოების ძირითადი მიმართულება შემდეგი სახით შეიძლება წარმოდგენილოთ:

1. ზეპირკვლის სტერეობატის ბაზალტის დაზიანებული კვადრების შევსება ბაზალტის ფხვნილზე დამზადებული დუღაბის ჩაჭირხვნით ნაკერებს შორის მთელ პერიმეტრზე.
2. ლავგარდანის დაზიანებული ქვების აღდგენა და გამოცვლა. ლავგარდანის ზევით ადრე არსებული ლორფინების სიბრტყის მაქსიმალურად გამოყენებას და მისი გამოსვლის დეტალის დამუშავებას ისე, რომ არ დაზიანდეს ტაძრის მხატვრული სახე.
3. სახურავი ბურვილის პრობლემის რადიკალური მოგვარება.
4. ტაძრის ირგვლივ დამრეცი სარინელის ან ასხლეტილი შხეფების ინერციის ჩამქრობი ქვიშნარი ფენის მოწყობა.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ტაძრის ავთენტური სახით შენარჩუნებას მომავალი თაობებისათვის.

კონსტრუქტორი:


გ. ჭანუყვაძე

ზოგოები: მთავარი ტაძარი


1.



2.



3.




4.



5.



6.



7.




8.




9.




10.



11.




12.




13.




14.



15.



16.




17.




18.



19.



20.



21.



22.



23.



24.



25.



26.

